

კათაკმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებანი „კურთხევათა“ უძველეს ქართულ კრებულებში

ექვთიმე კოჭლამაზაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

X საუკუნის რამდენიმე ქართული ხელნაწერით, რომლებიც სინაღს მთის კოლექციაშია შემორჩენილი, ჩვენამდეა მოღწეული უძველესი ლიტურგიკული პრაქტიკის ამსახველი წეს-განგებანი (აკოლუთიები), რომელთა კრებული ევქოლოგიონის სახელითაა ცნობილი.¹ ქართულ ენაზე ამ წეს-განგებათა ტექსტების შექმნა და ევქოლოგიონის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ხანიდან, IV საუკუნიდან უნდა დაწყებულიყო, ხოლო მისი განვითარება XVII საუკუნემდე გაგრძელდა, როდესაც ევქოლოგიონის საბოლოო, კვიპრიანე სამთავნელისეული რედაქცია ჩამოყალიბდა.² მანამდე კი ამ ლიტურგიკული კრებულის დამუშავება მრავალგზის მოხდა.

კრებულის განვითარების ეტაპებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია X-XI სს-ის ქართველ მთარგმნელთა – ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელების წვლილი, რომელთა ნარედაქციევი ევქოლოგიონი, გარკვეული ვარიაციებით, XIII-დან XVIII-მდე საუკუნეების რამდენიმე ასეული ხელნაწერითაა ჩვენამდე შემონახული,³ X საუკუნემდე ლიტურგიკულ პრაქტიკას კი ასახავენ მხოლოდ ზემოხსენებული სინური ხელნაწერები.

1 ევქოლოგიონი წეს-განგებათა კრებულის ბერძნული სახელწოდებაა: **εὐχολόγιον** (სიტყვასიტყვით: „ლოცვათა-სიტყვაობა“). ქართულად მას შესაბამება კურთხევანი.

2 კურთხევანი, ძალითა ღმრთისაჲთა თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კუპრიანეს მიერ სამთავნელისა, მოსკოვი, 1826.

3 შედარებით უფრო სრულად შემორჩენილი პოსტათონური კრებულების კოდიკოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული დახასიათება იხ.: ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002. ერთ-ერთი კრებულის (Sin.73) ტექსტი გამოცემულია: დიდი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ, I, თბ., 2002.

ყველა ეს ხელნაწერი (ძველი კოლექციის №№ 12, 66 და 54,⁴ და ახალი კოლექციის № 53 და № 58)⁵ მკვლევართა მიერ X საუკუნითაა დათარიღებული, მაგრამ მათში შეტანილი ტექსტები გაცილებით ადრე რომ უნდა იყოს ქართულად თარგმნილი, ამაზე მიგვითითებს რამდენიმე გარემოება:

1. როგორც ცნობილია, ძველი ქართული ლიტურგიკული ტექსტები, ბიზანტიასთან მჭიდრო რელიგიურ-კულტურული ურთიერთობის გამო, უგამონაკლისოდ ბერძნული ენიდანაა თარგმნილი; იგივე ითქმის ევქოლოგიონის შესახებაც, და სახელდობრ, X საუკუნის სინური ხელნაწერების ტექსტებიც, რასაკვირველია, ბერძნულიდან მომდინარეობს. მაგრამ დედნის ენაზე, ბერძნულად, ეს ტექსტები ჩვენამდე მოღწეული არაა არც X საუკუნის, და არც უფრო ძველი ხელნაწერებით. უძველესი ნუსხა ბერძნული ევქოლოგიონისა, ბარბერინის ევქოლოგიონი, VIII საუკუნისაა,⁶ და მასში შენახულია არა იმ უძველესი რიტუალების ამსახველი წეს-განგებანი, რომლებიც ზემოხსენებულ ქართულ ხელნაწერებში გვაქვს, არამედ უკვე საფუძვლიანად გადამუშავებული ტექსტები, ის ტექსტები, რომლებიც ქართულად ეფთვიმეს და გიორგის თარგმანებითაა მოღწეული. ან, შესაძლოა, ეს უშუალოდ მათი თარგმანი არ იყოს, არამედ მანამდელი თარგმანების გადამუშავება (მაგალითად, VIII ან IX ს-ის თარგმანებისა, რომლებიც, შესაძლოა, არსებობდა და ჩვენამდე არაა მოღწეული). ამ უშუალედური თარგმანის არსებობის დაშვება, ვფიქრობთ, ლოგიკურია, რამდენადაც ქართული მთაწმიდური

4 ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: რ. გვარამიაძე, ელ. მეტრეველიძე, ც. ჭანკიევიძე, ლ. ხევსურიანიძე, ლ. ჯღამაიაძე: „მეცნიერება“ (თბილისი 1989) 33-47, 70-76, 58-67.

5 სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ლილი ხევსურიანიძე და მიხეილ ქავთარიამ, (ათენი 2005) 285-286, 290-291.

6 S. Parenti ed E. Velkovska (ed.), L'Eucologio Barberini Gr. 336, Roma 1995.

ეკქოლოგიონი დაახლოებით იმავე ტიპისაა, რომლისაც ბარბერინისეული, და სავარაუდოდ, VIII-დან X ს-მდე ქართულად მისი თარგმნის საჭიროება უნდა გაჩენილიყო. სინური ხელნაწერებით მოღწეული იერუსალიმური ტრადიციის განგებების ქართული თარგმანის შემუშავება კი არანაირად მოსალოდნელი არაა VIII საუკუნის შემდეგ, როდესაც უკვე ახალი ბერძნული რედაქციაა გაჩენილი. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ VIII საუკუნე ბარბერინის ეკქოლოგიონის რედაქციის ჩამოყალიბების ზედა ზღვარია, გამორიცხულად არ შეიძლება ჩაითვალოს მისი გამომუშავება უფრო ადრე, და, მაშასადამე, სინური ქართული ეკქოლოგიონების ტექსტები VIII საუკუნემდე ბევრად ადრე უნდა გაჩენილიყო.

2. ქართული თარგმანების არქაულობას ადასტურებს მასში აღწერილი რიტუალების არქაულობა, კერძოდ, კათაკმევლობისა და ნათლისღების ის წესები, რომლებიც III-IV საუკუნეების წერილობით ძეგლებშია დაფიქსირებული (ეგერიას მოგზაურობა, კირილე იერუსალიმელის კატეხიზმო, ტერტულიანეს თხზულება ნათლისღების რიტუალების შესახებ და სხვ.)

3. ქართული ტექსტების დიდ სიძველეს მიგვითითებს ის ფაქტი, რომ X საუკუნის ხელნაწერები ძალზე ძველი, ხმარებისაგან დაზიანებული და დეფექტური (ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესაძლოა, ფურცელარეული) ხელნაწერებიდან მომდინარეობს. სახელდობრ, Sin.Georg.O 12 ხელნაწერში გვხვდება მრავალი ისეთი ცდომილება, რომელიც მხოლოდ დედნის დაზიანებულობით აიხსნება. მაგალითად, ერთგან წერია: „გარდამოავლინეს ამას შენსა ზედა“ (131v). კონტექსტი საშუალებას იძლევა, დავადგინოთ, რომ თავდაპირველად აქ წერებულა: „გარდამოავლინე მონასა ამას შენსა ზედა“. აი, კიდევ სხვა მაგალითები: „განადლიერენ ყოველთა მიმართ საქმეთილთა“ (144v; უნდა იყოს: „საქმეთა კეთილთა“); „და შენდა საბასა, უფალო, ქუეყანა დაამყარე...“ (193r; უნდა იყოს: „და შენ დასაბამსა, უფალო, ქუეყანა დაამყარე...“ – ებრ. 1,10. შდრ. ფს. 101, 26); „რაათა ღირს-ყვნეს ესენი საქინელსა მას მეორედ-

შობისასა“ (111r). ამკარაა, „საშინელსა“-ს ნაცვლად „საბანელსა“ ეწერა Sin.Georg.O.12-ის დედანში, მაგრამ იმ დროისათვის, როდესაც ეს ხელნაწერი მზადდებოდა, მისი დედანი იმდენად დაზიანებული ყოფილა სიძველისაგან, რომ მწესხველს ზოგიერთი ადგილი არასწორად ამოუკითხავს. ძველი და დაზიანებული ხელნაწერიდან არასწორი გადაწერის მაგალითია ასევე: „განა ნათლითა მაგით“ (103r). კონტექსტის მიხედვით ამ დეფექტის შევსებაც იოლადაა შესაძლებელი: „განა[ნათლენ] ნათლითა მაგით“. მაგრამ სინამს მთის №12 ხელნაწერში, არცთუ იშვიათად, ისეთი ხარვეზებიც გვხვდება (მათ არსებობას კონტექსტის ბუნდოვანება ან ქრისტიანულ მოძღვრებასთან მისი შინაარსის შეუთავსებლობა მოწმობს), რომელთა შესწორება, დამატებითი წყაროების გარეშე, ოდენ კონტექსტზე დაყრდნობით – შეუძლებელია. იგივე ითქმის იერუსალიმური კურთხევანის შემცველ სხვა სინურ ხელნაწერებზე.

სინური ხელნაწერებით მოღწეული წეს-განგებანი ნამდვილად იერუსალიმური, კერძოდ, საბაწმიდური რედაქციისა რომ არის, მოწმობს ერთი მინაწერი ახალ სინურ № 58-ში შეტანილ მიცვალებულის დაკრძალვის წესთან. ეს განგება ემთხვევა ძვ. სინურ № 12-ის შესაბამის მასალას.⁷

სამწუხაროდ, ახალი სინური კოლექციის № 53 კურთხევანი, რომელიც უფრო ვრცელი და სრული ჩანს, ვიდრე ძვ. № 12 და 66 (მოიცავს დიდი მოცულობის მასალას, 93r-დან 227v-მდე), ჯერჯერობით ხელმისაწვდომი არაა ჩვენთვის, და მას მხოლოდ სიტყვაბუნწი აღწერილობით ვიცნობთ. აღმწერელი უთითებს, რომ ახალი სინური № 53 ძველი № 12 და № 66-საგან განსხვავდება მასალის დალაგების თვალსაზრისით.⁸ სამწუ-

7 Sin.Geo.N.58-ის აღმწერელი გვაუწყებს: „კურთხევანი (69v-85v) შეიცავს მიცვალებულთა დაკრძალვის წესს. ხელნაწერში ნათქვამია, რომ ეს განგება საბაწმიდურია (72r). იგივე განგება შეტანილია Sin.Geo.N.12 ხელნაწერში“ (სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 291).

8 იქვე, გვ. 286.

ხაროდ, აღწერილობაში მითითებული არაა ამ ხელნაწერის თავ-თა თანმიმდევრობა, თორემ ამ სხვაობის საფუძველზე, შესაძლოა, აგვეხსნა ნათლისღების რიტუალში შემჩნეული რამდენიმე წინაუკმოობა, რაც ძვ. სინური № 12 და № 66 ხელნაწერთა ტექსტებს ახასიათებს. ვფიქრობთ, გამორიცხული არაა, ახალი სინური № 53 უფრო უკეთესი დედნიდან გადაწერილი ნუსხა იყოს, და მისმა შესწავლამ ძვ. სინური № 12 და № 66-ის ცალკეული ნაწილების დაზუსტების საშუალება მოგვცეს.

ჯერჯერობით კი უძველესი ქართული ევქოლოგიონის ტექსტებს ჩვენ ვიცნობთ ძველი კოლექციის ნუსხებით. კრიტიკული ტექსტი მათ მიხედვით, უკვე კარგა ხანია, დადგენილი გვაქვს, მაგრამ მის გამოქვეყნებას აქამდე არ ვჩქარობდით, რადგანაც მოსალოდნელი იყო, რომ ახალი სინური № 53-ის გათვალისწინებით მისი მნიშვნელოვანი შევსება და გაუმჯობესება იქნებოდა შესაძლებელი. თუმცა ისიც კი, რაც ჩვენს ხელთ არსებულ ტექსტობრივ მასალაში ჩანს, ძალზე მდიდარ ინფორმაციას იძლევა IV-V, და, შესაძლოა, VI-VII სს-ის იერუსალიმური ღმრთისმსახურების შესახებ, და ამ სახითაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქრისტიანული არქეოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთათვის. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ახალი სინური კოლექციის ნუსხების (№53, №58) გამოყენებით საბოლოო დაზუსტებამდე, მკითხველისათვის გაგვეცნო იერუსალიმური კურთხევანის ტექსტი, გამართული ძველი სინური კოლექციის № 12-სა და № 66-ზე დაყრდნობით.

ორი წლის წინათ ამ კრებულებიდან გამოვაქვეყნეთ წინდობისა და ჯვრისწერის განგებები,⁹ ამჯერად კი გთავაზობთ კათაკმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებათა ამსახველ ტექსტებს. ვარიანტებს სქოლიოში, წინა გამოცემის მსგავსად, აღვნიშნავთ C და P ლიტერებით, შესაბამისად.

9 ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, წინდობისა და ქორწილის საეკლესიო რიტუალი უძველეს ქართულ „კურთხევათა“ კრებულებში: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი I (თბილისი 2008) 349-369.

მეცნიერულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით იერუსალიმურ წეს-განგებათაგან განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ კათაკუმეველობისა და ნათლისღების რიტუალთა სისტემა აღძრავს. კათაკუმეველობისა და ნათლისღების ლოცვები გვიანდელ, კონსტანტინეპოლურ წეს-განგებებშიც გვაქვს (ქართულად ისინი, როგორც უკვე ვთქვით, გიორგი მთაწმიდელის თარგმანითა და მისი მომდევნო რედაქციებითაა ცნობილი), მაგრამ მათში კათაკუმეველობისა და ნათლისღების ლოცვები ფორმალურადაა ერთმანეთისაგან გამიჯნული; ისინი ერთდროულად შესასრულებელი რიტუალის ორ ნაწილია მხოლოდ. იერუსალიმურ წეს-განგებას კი შემოუნახავს მითითება კათაკუმეველობის ცალკეული რიტუალების სხვადასხვა დროს შესრულებისა (დიდი მარხვის განმავლობაში). ეს რიტუალები – ემბაზის კურთხევა, „ქრისტიანების“ წესი, კათაკუმეველად დადგინება, მრავალჯერადი „მეფუცებაჲ“, „ჯმნაჲ და შედგომაჲ“, ნათლისღება ემბაზში, მერვე დღის ლოცვა და სხვ. – მოიცავენ მთელი დიდი მარხვის პერიოდს. ის გადმოცემა, რაც კათაკუმეველობის ინსტიტუტის შესახებაა ცნობილი ეკლესიის ისტორიაში, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალით მდიდრდება ქართულ ხელნაწერებში შემორჩენილი ტექსტების საშუალებით.

კათაკუმეველობისა და ნათლისღების იერუსალიმური წეს-განგებანი კონსტანტინეპოლისაგან დიდად განსხვავდებიან რიტუალის აღწერილობით, ლოცვებისა და კვერექსების ტექსტით, თუმცა ურთიერთშესაბამის ნაწილებში წეს-განგებათა კომპოზიციური და აზრობრივი ნათესაობა აშკარაა.

იერუსალიმური წეს-განგების ერთ-ერთი თავისებურებაა ის, რომ კათაკუმეველთათვის განკუთვნილი ლოცვების დაწყებამდე იგი მიუთითებდა მომდევნო ხანის „კურთხევათათვის“ უცნობ ოთხ ლოცვას,¹⁰ მისი უმთავრესი თავისებურება კი არის ნათლო-

10 (ა) ახლისა ემბაზისა განწმედასა (ზედა), ეპისკოპოსისა მიერ, გინა მდღელისა, (ბ) ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲ, (გ) ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲვე. და (დ) ლოცვაჲ ნათლისმღებელთა ზედა.

ბის შესრულება აღვსებას (ე. ი. აღდგომის წინა საღამოს, დიდი შაბათს), რაც ზედმიწევნით შეესაბამება პავლე მოციქულის მიერ შემოღებულ სახისმეტყველებას: „რომელთა-ესე ნათელ-ვიღეთ ქრისტე იესუმს მიერ, სიკუდილისა მისისა მიმართ ნათელ-ვიღეთ, და თანა-დავეფლენით მას ნათლისღებითა მით სიკუდილსა მისსა, რაფთა, ვითარცა-იგი აღდგა ქრისტე მკუდრეთით დიდებითა მამისაფთა, ეგრეცა ჩუენ განაზღებითა ცხორებისაფთა ვიდოდით. რამეთუ, უკუეთუ თანანერგ ვექმნენით მსგავსებასა მას სიკუდილისა მისისასა, ეგრეთცა აღდგომასა მას – მისსა ვიყვნეთ“ (6,3-5). მაშასადამე, პავლეს სიტყვით, ნათლისღება ქრისტეს „სიკუდილისა მიმართ“ აღსრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ ნათლისღების რიტუალი, ანუ წყალში შთაფლვა („შთაყოფა“, „ყურჭუმა“)¹¹ – ქრისტეს სიკვდილისა და დაფლვის მსგავსებას გამოსახავს; ნათლისღებით ქრისტიანი ქრისტეს თანანერგი (σύνπτωτος) ხდება; და თუ იგი დაემსგავსება მას სიკვდილსა და დაფლვაში, დაემსგავსება აღდგომაშიც, და უკანასკნელ ჟამს, საყოველთაო აღდგომისას, „გარესკნელის ბნელში“ კი არ განიღვენება, არამედ ქრისტეს ნათელში მოხვდება, განაზღებული ცხოვრებით ივლის (რომ. 6,4).

რადგან ნათლისღება ქრისტეს სიკვდილის მსგავსებად გაიაზრება ღმრთისმეტყველებით, სავსებით ლოგიკურია, რომ საეკლესიო რიტუალი ნათლისღებისა ქრისტეს საფლავში განსვენების დღეს – დიდ შაბათს დაამთხვიეს.¹² ამით კიდევ უფრო ხაზი გაესვა ზემოაღნიშნულ მსგავსებას.

რადგანაც კათაკმეველობისა და ნათლისღების უძველეს წესგანგებათა ტექსტები უნიკალური ქართული თარგმანითაა ჩვენამდე მოღწეული, ამიტომაც, ვფიქრობთ, ქართული მასალის გაც-

11 ნათლისღების ბერძნული შესატყვისი – **βάπτισμα** – სწორედ წყალში ჩაყვინთვას ნიშნავს („ჩაყვინთვის“ შესატყვისად პოსტათონურ ტექსტებში გვაქვს შთაყოფა და ყურჭუმა. იხ. დიდნი კუროხევანი, გვ. 105).

12 თვით სიტყვა „შაბათიც“ (**Шабат**) ებრაულად „განსვენებას“, „უქმობას“ ნიშნავს.

ნობა დიდ დაინტერესებას გამოიწვევს ქრისტიანული სიძველეების მკვლევართა ფართო წრეებში. კრიტიკული ტექსტის დადგენისთანავე უთუოდ პირველი რიგის ამოცანად დაადგება ამ ტექსტების ბერძნული უკუთარგმანის (რეტროვერსიის) შემუშავება და თანამედროვე ევროპულ ენებზე თარგმნა.

ზემოთაც აღვნიშნეთ, და ქვემოთ უფრო დეტალურად გამოჩნდება (წეს-განგებათა აღწერასა და კომენტარებში), რომ ჩვენ მიერ გამოყენებული ორივე ხელნაწერი მრავალ ტექსტობრივ ხარვეზს შეიცავს. ამ ხარვეზების უმეტესობა იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ორივე სინური ხელნაწერის წყარო — თავდაპირველი ნუსხისაგან საკმაოდ დაცილებული პირია, ყოველი შემდგომი გადანაწერი კი, ჩვეულებრივ, წინა ნუსხის შეცდომებსაც იმეორებს და ახალ შეცდომებსაც უმატებს, რასაც ტექსტში ახალ-ახალი ბუნდოვანების გაჩენა მოსდევს. კონტექსტის ანალიზზე დაყრდნობით ხანდახან ხერხდება არქეტიპული, აზრობრივად და ფორმობრივად გამართული წაკითხვის აღდგენა (ასეთი აღდგენის რამდენიმე მაგალითს ზემოთ უკვე გავეცანით), სხვა შემთხვევებში კი ეს ამოცანა ჯერჯერობით გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება.

ტექსტის დაზიანების (დეფექტების, ცალკეული სიტყვების დამახინჯების, ფორმათა ცვალებადობის) შედეგად გაჩენილი ბუნდოვანება, რა თქმა უნდა, დიდად დააბრკოლებს სრულყოფილი რეტროვერსიის შექნას. იგი შეუძლებელიც კი გახდება ქართული ტექსტის მაქსიმალური გამართვისა და ბუნდოვანებათა აღმოფხვრის გარეშე (შესაძლებლობის ფარგლებში). ჩვენი ტექსტოლოგიური ნამუშევარი და ბუნდოვან აღვილებზე დართული კომენტარები სწორედ ბერძნული რეტროვერსიისათვის საფუძვლების შემზადებას ისახავს მიზნად.

კათაკმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებათა ციკლს Sin.Georg.O 12 ხელნაწერში 20 ფურცელი უკავია (101r-120r). ციკლი იწყება ლოცვით, რომელსაც ეპისკოპოსი ან მღვდელი წარმოთქვამს „ახლისა ემბაზისა განწმედასა [ზედა]“ (101r-v), რაც, სავარაუდოდ, დიდი მარხვის დაწყებამდე უნდა ყოფილიყო

დაწესებული, და მთავრდება ნათლობის შემდგომ მერვე დღის ლოცვით (118v-120r). თუ გავითვალისწინებთ, რომ კათაკუმეველობა უძველესი იერუსალიმური ტიპიკონით მთელი დიდი მარხვის განმავლობაში მიმდინარეობდა,¹³ ემბაზში ნათლობა კი აღვსების დღეს (უფრო ზუსტად – აღდგომის წინა საღამოს, დიდ შაბათს) სრულდებოდა, მერვე დღის ლოცვა, როგორც ჩანს, ახალკვირიაკისათვის ყოფილა დაწესებული.

ემბაზის განწმედის რიტუალი კათაკუმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებათა ციკლის დასაწყისად რომ არის დადებული, ამის ხაზგასასმელად მის სათაურთან საგანგებო მარგინალური ნიშანი – ასტერისკო (*) დაუსვამთ. ხელნაწერში იმავე ნიშნითაა აღნიშნული ერთმანეთთან დაკავშირებულ წეს-განგებათა სხვა ციკლებიც.¹⁴

კათაკუმეველობისა და ნათლისღების წეს-განგებათა ციკლის ფარგლებში Sin.Georg.O. 12 ხელნაწერს ფიზიკური დეფექტი არ აქვს, Sin.Georg.O. 66-ის ეს ნაწილი კი (1r-12v) თავნაკლულია. დეფექტის ნაწილობრივი შევსება ხერხდება იმ ფურცლებით,

13 კათაკუმეველობა, როგორც პირველდაწყებითი ქრისტიანული სწავლება (საღმრთისმეტყველო მომზადება ნათლისღებისათვის), ითვალისწინებდა საგანგებო კატექტიკურ (სწავლა-მოდერებით) საუბრებს, ძველი და ახალი აღთქმის წიგნების კითხვასა და კომენტირებას, რაც დიდი მარხვის საღმრთისმსახურო განგებებში (მწუხრისა და ცისკრის, ასევე დღის ჟამთა განგებებში) იყო ჩართული. კატექტიკური დანიშნულების საკითხავთა სისტემა დაწვრილებითაა ასახული უძველეს იერუსალიმურ ტიპიკონში – „ანჩინებაში“, რომელსაც ამ საკითხავების ჩართვის გამო ზოგჯერ ლექციონარადაც მოიხსენიებენ. იხ. К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII в. (грузинская версия), Тифлис, 1912. Le grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (V^e - VIII^e siècle) édité par M. T a r c h n i s c h v i l i, I-II, Louvain, 1959-1960 (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 188, 189, 204, 205). Ch. R e n o u x, Le Lectionnaire de Jérusalem en Arménie Le CASOC: Patrologia Orientalis 49: Brepols, Turnhout Belgique 2004.

14 ასტერისკოთა აღნიშნული „ერის განტევებათა“ დასაწყისი (35r); წყალტკუროთხევის (90v), წინდობისა და გვირგვინის კუროთხევის (123v), მონაზვნად აღკვეცის (153v), შესუენებულთა (182r) და სხვა წეს-განგებათა ციკლების დასაწყისები.

რომელთაც მიაკვლია ჟ. გარიტმა მინგანას ხელნაწერთა კოლექციას (ბირმინგემი).¹⁵ მის ვარიანტებს სქოლიოში M-ით აღვნიშნავთ (ჟ. გარიტის გამოცემაზე დაყრდნობით).

ტექსტი, დამოწმების გასაადვილებლად, პირობითად დავყავით 30 ნაწილად, რომელთაც აქ მოკლედ დავახასიათებთ:

I. ლოცვა ახლისა ემბაზისა განწმედასა.

ემბაზის (**εμβασις, εως ης**), ანუ სანათლავი ჭურჭლის მომზადება ნათლისღებისათვის – კურთხევა ანუ „განწმედა“ (წმიდა-ყოფა) მითითებულია კათაკმეველობისა და ნათლისღების განგებათა უწინარეს. ნათლისღებასთან დაკავშირებული რიტუალების ამგვარი დაწყება ლოგიკურია, რამდენადაც ემბაზის მომზადების გარეშე ვერ შესრულდება ნათლისღების საიდუმლო.

ემბაზის კურთხევა, სათაურის თანახმად, ხელეწიფება როგორც ეპისკოპოსს, ისე მღვდელსაც. ლოცვა მიმართულია მამა-ღმერთისადმი, რაც ხაზგასმულია ტექსტის დასაწყისშიც („ღმერთო და მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსო...“) და ბოლო ფრაზაშიც („მადლითა და კაცთმოყუარებითა მხოლოდმობილისა ძისა შენისა ათა...“).

II. ლოცვა ქრისტიანებისა.

ამ სათაურით ორი ლოცვაა შეტანილი წეს-განგებაში (მეორე მათგანი დასათაურებულია ასე: „ლოცვა ქრისტიანებისადგე“). ტექსტების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ესაა არა ქრისტიანთა ლოცვა, არამედ ლოცვა იმ რიტუალის აღსრულებისას, რომელსაც ეწოდებოდა ქრისტიანება ანუ ქრისტიანობა (უფრო ზუსტად, გაქრისტიანება). ე. ი. ‘ებ’ ფორმანტი აქ ‘ებ’-იანი მრავლობითის მაწარმოებელი კი არ არის, არამედ აბსტრაქტულობის გამომხატველი დერივაციული აფიქსი.

როგორც ჩანს, „ქრისტიანობის“ რიტუალი გულისხმობდა

15 G. Garitte, Les fouilles géorgiens de la collection Mingana à Selly Oak: Le Muséon LXXIII, 3-4, 1960. სტატიის ქართული თარგმანი იხ.: ჟ. გარიტი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი): მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია (თბ., 1973, №3, გვ. 170-182.

ყრმის კურთხევას ქრისტეს სახელის თაყვანისმცემლად (ანუ 'ქრისტიანედ'), და მის განმზადებას ნათლობისათვის, ჭეშმარიტ ქრისტიანთა მწყობრთან აღრაცხვისათვის. ამას მიგვითითებს „ქრისტიანების ლოცვის“ სიტყვები: „აკურთხე (ღმერთო) ყრმაჲ ესე... რაჲთა იწოდოს თაყუანისმცემლად სახელისა შენისა“; „განმზადე წყალთა ზედა განსასუენებელთასა უხრწნელისა ნათლისღებისა შენისაჲთა“; „განმზადე წინაშე ამისსა ტაბლად, მიღებად შესაძრწუნებელი საიდუმლოჲ შენი“ (იგულისხმება წმიდა საიდუმლოს ზიარება — მიღება საუფლო ხორცისა და სისხლისა, რაც უშუალოდ ნათლისღების შემდეგ, აღდგომის დღეს, ენიჭებოდა ახალნათელღებულს); „შეიწყალე მონაჲ ესე შენი, რომელი მოვიდა და შეევედრა სახელსა შენსა (ე. ი. ჩაჰბარდა შენს სახელს; ამიერიდან ქრისტიანედ იწოდებაო) და დაეფარა საფარველსა ფრთეთა შენთასა“; „შერთე ესე ერსა მას მკჳდრობისა შენისასა...“ (ე. ი. შეიწყნარეო შენი ეკლესიის წევრად) და ა. შ.

მაშასადამე, „ქრისტიანების ლოცვას“ უკითხავდნენ იმ პირთ, რომელნიც პირველად მოვიდოდნენ ეკლესიაში და, ქრისტეს ღმრთეების აღსარებასთან ერთად, გამოაცხადებდნენ ნათლისღებისა და უფლის „მკჳდრობის ერთან“ (კათოლიკე ეკლესიასთან) შეერთების სურვილს. როგორც ჩანს, ასეთებს მაშინვე კათაკუმეველად არ ჩარიცხავდნენ, არამედ ჯერ აკურთხევდნენ ქრისტეს სახელის თაყვანისმცემლად, ე. ი. მის მიმდევრად, „ქრისტიანედ“; და მხოლოდ ამის შემდეგ შესრულდებოდა კათაკუმეველად მათი დადგინების წესი.¹⁶

16 „ქრისტეს სახელის თაყუანისმცემლად“ ანუ „ქრისტიანედ“ კურთხევა რომ წინ უსწრებდა კათაკუმეველად მათ დადგინებას, გარკვევით ჩანს მომდევნო ტექსტშიც: „ქრისტიანედ“ წოდებულ ყრმას წაუკითხავდნენ კათაკუმეველად დადგინების ლოცვას (VI), რომლის ბოლოშიც მიწერილია: „და კათაკუმეველად შეირაცხების კათაკუმეველი იგი“. ამის შემდეგ კათაკუმეველად შერაცხვის აქტს ოფიციალურადაც დაამოწმებდნენ სახელის ჩაწერით, რისთვისაც საგანგებო ადგილიც ყოფილა გამოყოფილი („...სადა-იგი აღიწერნიან სახელნი კათაკუმეველთანი“, VII,2).

ამრიგად, „ქრისტიანებად“ – „ქრისტიანედ“ შერაცხვის („გაქრისტიანების“) წესი ყოფილა, ხოლო ქრისტიანის წოდება, აქ წარმოდგენილი ტრადიციის ფარგლებში, ნათელ-ღებულის სინონიმი არ იყო (როგორც ეს შემდგომში დადგინდა), და არც ეკლესიის წევრობის სტატუსს ადასტურებდა, არამედ მხოლოდ სარწმუნოებრივი ორიენტაციის მაჩვენებელი იყო და მისი მატარებელი (ე. ი. 'ქრისტიანედ' წოდებული პირი) ქრისტეს ეკლესიასთან თანახმარობის სურვილს გამოხატავდა შევედრებით (ანუ ჩაბარებით, მიბარებით) ქრისტეს სახელისადმი (III,9). მოუნათლავი პირისადმი ქრისტიანის წოდების მინიჭება – იყო წინდი ანუ ნიშანი, მონაგალში ქრისტიანული თემის წევრად მისი შეწყნარებისა.

იერუსალიმურ კურთხევანში, უნათლავ „ქრისტიანეთა“ გარდა, ამ წოდებით ეკლესიის წევრნიც იხსენიებიან, სახელდობრ, „კათოლიკე კვერქსში“: „ყოველთა სულთა ქრისტიანეთა, ჭირვეულთა, ურვეულთა, რომელნი ტყუეობასა არიან და სარწმუნოებით ღმერთსა ევედრებიან...“ (Sin.Georg.O.12, 33r); „ქრისტიანობით [ი] ჩუენი აღსასრული, უჭირველი და ურცხუენელი...“ (იქვე, 34r) და სხვ.

„ქრისტიანების წესი“, ანუ უნათლავ პირთა ქრისტიანედ შერაცხვის პრაქტიკა, „კურთხევათა“ გვიანდელ კრებულებშიც გვხვდება დაფიქსირებული, სახელდობრ, პოსტათონურ ქართულ „კურთხევანში“, რომელთა ჩამოყალიბება XI საუკუნის შემდგომ პერიოდში მოხდა. ამ „კურთხევათა“ რამდენიმე ხელნაწერში შეტანილია განგება, რომელიც „ჰურიანობიდან“ (იუდაიზმიდან) ქრისტიანობად მოქცეულთათვის სრულდება.¹⁷ ამ

17 ვგულისხმობთ თბილისის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის XVI-XVIII სს-ის ხელნაწერებს: A 450, A 72, H 1352, A 633, Q 106, Q 658, A 48, H 1719, A 895, A 186 და სხვ. განგება დასათაურებულია ასე: „თუ ვითარ ჯერ-არს შეწყნარებად, რომელი ჰურიანთაგან სარწმუნოებასა ქრისტიანეთასა მოუკლებოდის“. „კურთხევანის“ ეს თავი შეტანილია არსენ ვაჩეს ძის (XI-XII) „დოგმატიკონისა“ და მის მიერვე თარგმნილი „დიდი სჯულისკანონის“ რამდენიმე ხელნაწერშიც: ქუთ.23, A267, A124 [კოჭლამაზაშვილი 2002:77].

განგებაში, რიტუალის აღწერის საჭიროების გამო, განმარტებულია ცნება „ქრისტიანე-ყოფისა“ (ე. ი. გაქრისტიანებისა): ჰურიაობიდან მოქცეულს, იმისათვის, რათა ქრისტიანედ შერაცხულიყო, ქრისტეს ღმრთეების აღსარებასთან ერთად, ევალებოდა ჰურიაული სარწმუნოებისაგან განშორება და საჯარო „განქიქებაჲ ყოვლისა წესისა და ჩუეულებისა ჰურიაებრივისაჲ“. ამ განქიქების ტექსტის შემდეგ, ჰურიაობიდან მოქცეულთა შეწყნარების წესში ვკითხულობთ: „...და ესენი რაჲ თქუნეს მომავალმან მან ყოველსა ეკლესიასა ზედა (იგულისხმება ახლადმოქცეულის მიერ საჯაროდ წარმოთქმა ზემოაღნიშნული განქიქებისა – ე. კ.), ვყოფთ მას ქრისტიანე, ესე იგი არს შევრაცხთ ვითარცა უნათლავსა ქრისტიანესა, ვითარ-იგი შეეტყუების შვილთა ქრისტიანეთასა, რომელთა ეგულებოდის ნათლისღებაჲ, ხოლო მეორესა დღესა აღვრაცხთ კათაკუმეველთა თანა, და ვიტყვთ მას ზედა ლოცვასა, რომელი ითქუმის კათაკუმეველთა ყრმათა ზედა, და შემდგომითი-შემდგომად ვიკუმევთ ლოცვათა ფუცებისათა. და ესრეთ, შემდგომობისაებრ წესისა, სრულ ვჰყოფთ ყოველთა, რომელნი ნათლისღებასა ზედა ქმნად განწესებულ არიან“ (A 450, 297r-v).

აქ ძალზე გამჭვირვალედ ჩანს, რომ უნათლავ პირთა „ქრისტიანე-ყოფა“ (ანუ ქრისტიანედ შერაცხვა) კათაკუმეველობამდე – ქრისტიანობის წიაღიდან გამოსულთა პრივილეგია ყოფილა: ქრისტიანეთა შვილებს „შეეტყუების“ (ანუ შეეფერებო), – განმარტებულია განგებაში.

როგორც ვხედავთ, ჰურიათაგან მოქცეულთათვისაც ისეთივე „ქრისტიანების წესის“ შესრულება (ე. ი. უნათლავ ქრისტიანედ შერაცხვა) დაუდგენიათ ხსენებული წეს-განგების დამკანონებელთ, როგორც შეეფერებოდა („შეეტყუებოდა“) ქრისტიანთა შვილებს, ნათლისღების მსურველთ. კათაკუმეველად აღრაცხვა კი, სათანადო ლოცვის წარმოთქმით, მეორე დღისათვის ყოფილა დაწესებული, რასაც მოჰყვებოდა შეფუცების ლოცვები და ნათლისღებისათვის დადგენილი სხვა წესები.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მარტო ჰურიანობიდან მოქცეულთათვის კი არ განწესდა ქრისტიანების წესის („ქრისტიანე-ყოფის“) მეორე დღესვე შესრულება კათაკუმეველად მათი დადგინების წესისა, არამედ თითქოს ქრისტიანობის წიაღიდან გამოსულთათვისაც ასევე იყო დაწესებული. ჰურიანთაგან მოქცეულთა წესში ჩართული შენიშვნა, ვფიქრობთ, ასეთი დასკვნისაკენ უპირობოდ არ გვიბიძგებს. პირიქით, როდესაც წერენ – ჰურიანობიდან მოქცეულთ, ჰურიებრივი წესის განქიქების შემდეგ, ქრისტიანეთა შვილების მსგავსად, ქრისტიანე-ვყოფთო, – ამის შემდეგ, მეორე დღესვე „კათაკუმეველთა თანა“ ჰურიანობიდან მოქცეულთა აღრაცხვაც რომ ქრისტიანეთა შვილების იმავედროული აღრაცხვის თანხვედნილი ყოფილიყო, ლოგიკური (და მოსალოდნელი) იქნებოდა, ამ ანალოგიისათვისაც გაესვათ ხაზი; მით უფრო, რომ განგების ავტორი მარტო იმ ანალოგიას კი არ აღნიშნავს, რომ „ქრისტიანე-ყოფა“, ქრისტიანეთა შვილების მსგავსად, ჰურიანობიდან მოქცეულთაც ენება, – არამედ იმ ანალოგიასაც, რომ მოქცეულ ჰურიანთათვის იგივე ღოცვა ითქმის, „რომელი ითქმის კათაკუმეველთა ყრმათა ზედა“.

კათაკუმეველად დადგინების წესი უთუოდ „ქრისტიანების წესის“ მომდევნო დღეს რომ ყოფილიყო დაწესებული იერუსალიმურ წეს-განგებაში, ანალოგიების აღნიშვნის მოყვარული ავტორი „ჰურიანთაგან მოქცევის წესისა“, ვფიქრობთ, არ დაივიწყებდა ამ ანალოგიასაც, და დაწერდა: „ხოლო მეორესა დღესა, მათსავე მსგავსად, (ე.ი. ქრისტიანეთა შვილების მსგავსად) აღვრაცხთ კათაკუმეველთა თანა [ჰურიანთაგან მოქცეულთა]“. ვფიქრობთ, „ქრისტიანე-ყოფის“ მეორე დღესვე კათაკუმეველად აღრაცხვა მხოლოდ ჰურიანობიდან მოქცეულთ უნდა ენებოდეს, ხოლო ქრისტიანობის წიაღიდან მოსულთათვის რაიმე გარკვეული დროითი ინტერვალი დაწესებული არ უნდა ყოფილიყო, თუ არა, საფიქრებელია, წეს-განგებაში აღნიშნული იქნებოდა „ქრისტიანე-ყოფისა“ და კათაკუმეველად დადგინების ვადები.

რადგანაც ნათლისღება, უძველესი იერუსალიმური განგების თანახმად, წელიწადში ერთხელ – აღვსების დღეს იყო დაწესებული, ხოლო კატექეტური სწავლებისათვის (კათაკუმეველობისათვის) დიდი მარხვის პერიოდი გამოიყენებოდა, ვფიქრობთ, „ქრისტიანების წესის“ შესრულება მთელი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო დაშვებული, ინდივიდუალურად თითოეული ახალმოსულისათვის სხვადასხვა დროს; ამით დიდი მარხვის დაწყებამდე „ქრისტიანედ“ შერაცხულთა გარკვეული რაოდენობა შეიკრიბებოდა, ხოლო მათი კატექეტური განსწავლა ერთობლივად დაიწყებოდა დიდი მარხვის დაწყებისთანავე.

„ქრისტიანების ლოცვის“ შესრულება, როგორც ჩანს, გადავარდა კონსტანტინეპოლური წეს-განგების გაბატონების შემდეგ, რის გამოც „კურთხევათა“ ტექსტებში იგი აღარ შეუტანიათ, თუმცა „ქრისტიანე-ყოფის“ ფაქტი, როგორც ქართულ პოსტათონურ „კურთხევათა“ ხელნაწერების ერთი ჯგუფის მაგალითით ვნახეთ, ცალკეულ შემთხვევებში დავიწყებას არ მისცემია.

ტერმინი „ქრისტიანება“ (უნათლავი კაცის „ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე დ“ შერაცხვის მნიშვნელობით) გვიანობამდე უნდა შემორჩენილიყო, თუნდაც იმ ვარიანტული სახით, რომლითაც სულხან-საბა ორბელიანს († 1725) აქვს დაფიქსირებული: „ქ რ ი ს ტ ე ნ ა“ ან „ქ რ ი ს ტ ე ნ ა“ (ეს უკანასკნელი – „ქრისტენის“ დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს). ლექსიკოგრაფის განმარტებით, „ქ რ ი ს ტ ე ნ ა არს მირონის-ცხება უემბაზოდ, ვითარცა დაწინდვა“.

სულხან-საბას „ქრისტენა“ და სინური კურთხევანის „ქრისტიანებად“ ერთი და იგივე უნდა იყოს. „ქრისტიანება“, იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი სინურ კურთხევანში გვხვდება, მართლაც, ძალიან მოგვაგონებს დაწინდვას: ისევე, როგორც დაწინდვით ჯერ კიდევ არ გამოიხატება ქალ-ვაჟის შეუღლება, არამედ მხოლოდ გამოცხადდება მათი მომავალი ქორწინება, „ქ რ ი ს ტ ი ა ნ ე ბ ი ს წ ე ს ი ს“ შესრულებაც არ ნიშნავს ნათლისღებას (ქრისტეს ეკლესიის შვილად ვისსამე აღმოშობას ემბაზით), არამედ ნათლისღების მოსურნეთათვის „ქრისტეს სახე-

ლის თაყუანისმცემლისა“ და „ქრისტიანის“ წოდების წინდად მინიჭებას.

„ქრისტიანების ლოცვასთან“ ერთად მირონის ცხებაც სრულდებოდა თუ არა (ნათლისღების შემდგომი მირონცხების მომასწავებლად, წინდად), – სინურ ქართულ ხელნაწერებში (№№ 12, 66) შემორჩენილი ტექსტის მიხედვით დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სულხან-საბას სანდო წყაროების დაუმოწმებლად არ სჩვეოდა არქაული სიტყვების განმარტება, საფიქრებელია, რომ „ქრისტიანის“ (ე. ი. „ქრისტიანების“) რიტუალში მის მიერ მირონის ცხების მითითება რომელიღაც ძველი წყაროს მონაცემებს უნდა ეფუძნებოდეს. შესაძლოა, მას „ქრისტიანების ლოცვის“ შემცველი, ჩვენთვის უცნობი, ხელნაწერიც კი ჰქონდა ხელთ.

„ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲ“, როგორც პირველი, ისე მეორე, შენახულია არა მარტო სინაძის მთის № 12 ხელნაწერში, არამედ მინგანას კოლექციის ფურცლებზეც, რომლებიც სინაძის მთის № 66 ხელნაწერიდანაა ამოღებული. ვარიანტებს ამ ფურცლებიდან (M აღნიშვნით) ჟ. გარიტის გამოცემის მიხედვით ვურთავთ. M ვარიანტები ხშირად გვეხმარება სინაძის მთის № 12 ხელნაწერის ტექსტის დაზუსტებაში.

„ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲ“ მიმართულია ქრისტე ღმერთისადმი, რაც, ჩვენი აზრით, დასაწყისშივეა მინიშნებული ფრაზით: „აკურთხე ყრმაჲ ესე... რაჲთა იწოდოს თაყუანისმცემელად სახელისა შენისა“ (II,4-5). მინიშნება ისაა, რომ, რადგანაც ამ ლოცვით იკურთხევა ქრისტიანე, მისი ამგვარი წოდებულება (ანუ მისი ქრისტიანობა) მიჩნეულია ქრისტეს „სახელისა თაყუანისმცემელად“ მისი წოდების ტოლფასად.

ლოცვა რომ ნამდვილად ქრისტე ღმერთისადმი მიმართული, ამისი მინიშნება სხვაგანაცაა:

(1) „ყავ ესე ცხოვრად აღნიშნულად არვისა შენისა“ (II,5-6). არვე ანუ სამწყსო (ἀγέλη, ποιμνιον, ποιμνη) ქრისტეს ეკლესიას მოასწავებს. ცხვრები, ანუ სამწყსო, სახარების სახის-

მეტყველებით – ეკლესიის წევრნი არიან (იოვანე 10,27; 21,16-17; მათე 10,6; 15,24; 26,31; მარკ. 14,27; შდრ. ფს. 78,13; 99,3; 94,7 და ა. შ.), ქრისტე კი – მათი მწყემსი (იოვანე 10,7-16), რომელსაც მამა ღმერთმა ჩააბარა ისინი სამწყემსავად (17, 6-26; 18,9; 10,29).

(2) „განმზადე წინაშე ამისსა ტაბლად მიღებად შესადრ-წუნებელისა საიდუმლოდსა შენისაჲ“. აქ იგულისხმება წმ. ზიარება, ქრისტეს ხორცი და სისხლი.

რადგანაც „ქრისტიანების ლოცვა“ ქრისტეს მიმართ ითქმის, მოსალოდნელი იყო, დაბოლოებაც ქრისტეს მიმართ ვე ყოფილიყო, მაგრამ ლოცვის ბოლო ნაწილი ორივე ხელნაწერში წმ. სამებას მიემართება („...და შენდა დიდებასა შევსწირავთ, – მამისა და ძისა და წმიდისა სულისა...“), რაც დოგმატურად არ შეეფერება ქრისტესადმი მიმართულ ლოცვას.

ვფიქრობთ, ეს გვიანდელი დამახინჯებაა, თავდაპირველად კი, ლოცვის დაბოლოება მის ძირითად ნაწილთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, ან, შესაძლოა, დაბოლოება შემოკლებით იყო ჩაწერილი, და თავდებოდა ფრაზით: „და შენდა დიდებასა შევსწირავთ“,¹⁸ ხოლო გვიანდელმა გადამწერებმა მისი მართებული გავრცობა ვერ მოახერხეს.¹⁹

„ქრისტიანების ლოცვები“ ორივე ზემოხსენებული ხელნაწერის გამოყენებით პირველად გამოვაქვეყნეთ 1999 წელს.²⁰ იქვე შევეცადეთ ამ წეს-განგების რაობის გარკვევას. წინამდებარე სტატიაშიც იმავე პუბლიკაციის დასკვნებს ვემყარებით „ქრისტიანების ლოცვების“ დახასიათებისათვის.

18 ლოცვის დამაბოლოებელი დიდებისმეტყველების შემოკლებული ჩაწერა (იმ ანგარიშით, რომ მკითხველი მის ბოლომდე გავრცობას იოლად შეძლებდა), ძალზე გავრცელებული იყო როგორც ხელნაწერებში, ისე საღმრთისმსახურო წიგნთა ბეჭდურ გამოცემებში.

19 მსგავსი შემთხვევები განხილული გვაქვს ნაშრომში: „მამაო ჩვენო“-ს ასამაღლებლისათვის, თბ., 2000.

20 ე. კოჭლამაზაშვილი, ლიტურგიკული შენიშვნები (2. „ბრძანეთ!“ 3. „ქრისტიანების“ წესი): რელიგია №7-8-9, 1999, 7-17.

III. ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲვე.

„ქრისტიანების“ მეორე ლოცვა მიმართულია მამა ღმერთისადმი, რაც ტექსტში მრავალგზისაა ხაზგასმული („მამაო და მომავლინებელო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემასო...“, „არავინ არს სხუაჲ შენსა გარეშე უფალი, და რომელ-ეგე მოავლინე — ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე, ძმ შენი საყუარელი“ და სხვ.). სამწუხაროდ, M ფრაგმენტში მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი ამ ლოცვისა, და №12 ხელნაწერის ბუნდოვანი ადგილების დაზუსტებისათვის არავითარი დამატებითი წყარო არ გაგვაჩნია.

IV. ლოცვაჲ ნათლისმღებელთა ზედა

რა დანიშნულება აქვს „ქრისტიანებისა“ და კათაკმეველობის ლოცვათა შორის „ნათლისმღებელთა“ ლოცვის ჩართვას — არ ჩანს. არც რაიმე რიტუალია მასში მითითებული. ტექსტი დეფექტური დედნიდან გადაუწერია სინ. № 12 ხელნაწერის მნუსხველს, რის გამოც ამ მცირე ტექსტში რამდენიმე შეცდომაა. ყველა მათგანის შესწორება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. საგარაუდოდ, „ნათლისმღებელთა“ ლოცვა შემთხვევით მოხვდა აქ ნათლისღების განგების ბოლო ნაწილიდან.

V. ლოცვაჲ კათაკუმეველთა ზედა

მლოცველი ითხოვს ღმრთის მადლის განახლებას (V,8) და კათაკუმეველთა განწმედას ღმრთისმიერი ჭეშმარიტებით (V,4), ანუ მათს განათლებას ნათლისღების წმიდა საიდუმლოთი (V,8-9) და სარწმუნოებით მეორედ შობას (V,7-8).

ლოცვამ ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია, რასაც მოწმობს რამდენიმე გაუმართავი ფრაზა, და ისიც, რომ ლოცვა ზოგან მამა ღმერთისადმი მიმართულად ჩანს (V,5-6,10), ზოგან — ძისადმი (V,10-11), ლოცვის დაბოლოება კი წმიდა სამებისადმი დიდებისმეტყველებითი მიმართვაა, რითაც იგი არ ეთანხმება ლოცვის დანარჩენ ნაწილებს.

VI. [კათაკუმეველად შერაცხვა]

კათაკუმეველად შერაცხვის რიტუალი განსხვავებულადაა წარმოდგენილი ქრისტიანული და წარმართული გარემოდან მო-

სულ ყრმათა და მწვსთათვის (ე. ი. მოზრდილთათვის):

კათაკუმეველი თუ ქრისტიანთა ოჯახიდანაა, მღვდელი მას უბრძანებს მარჯვენა მუხლის მოდრეკას ეკლესიის დიდი კარის წინაშე აღმოსავლეთით, ჯვარს გადასახავს და იტყვის: „აღიბეჭდვის (σπαρῖζεται) სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“. ხოლო თუ კათაკუმეველი წარმართთა ოჯახიდანაა, ანალოგიური მუხლთმოდრეკის შემდეგ მღვდელი მას ჯვარს გადასახავს მარჯვენა ხელის ცერით, თანაც აღბეჭდვის ზემოხსენებული ფორმულის წარმოთქმის გარეშე. შემდეგ თავზე ხელს დაადებს და წარმოთქვამს ლოცვას: „კურთხეულ ხარ შენ, ღმერთი და მამა...“ (ლოცვა ეხება).

VII. [კათაკუმეველთა სახელების აღწერა]

აქ მითითებულია, რომ კათაკუმეველად დადგინებას მოსდევდა მათი სახელების ჩაწერა, რისთვისაც საგანგებო ადგილი ყოფილა განკუთვნილი („სადა-იგი აღიწერნიან სახელნი კათაკუმეველთანი“).

VIII. [ლოცვაჲ შემდგომად ჯუარისდაწერისა]

ლოცვა მიმართულია მამა ღმერთის მიმართ, რასაც საცნაურ ჰყოფს მოხსენიება მის მიერ მისი წმიდა სიტყვის (ე. ი. ქრისტე ღმერთის) გარდამოვლინებისა (VIII,3). ასამაღლებელი კი, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, არ ეთანხმება ლოცვის ძირითად ტექსტს; იგი წმ. სამების მიმართაა (VIII,10-12).

IX. [ლოცვაჲ ფუცებისაჲ პირველი]

ჯვარის დაწერის შემდეგ ითქმის ლოცვა, მიმართული ქრისტე ღმერთისადმი, ვედრებით – განდევნოს ნათლისმღებელისაგან წინააღმდეგომი ძალი (ე. ი. ბოროტი სული), რათა განიწმიდოს იგი სულიწმიდის მისაღებად. შემდეგ კი მღვდელი მიმართავს ბოროტ სულს და ამცნებს (ე. ი. უბრძანებს), განეშოროს ყოველი მორწმუნისაგან, რომელთაც სწამს სახელი უფლისა იესუ ქრისტესი და სურს მისი წმიდა სულის მიღება.

ერთი ან ორი ყრმისათვის ეს „შეფუცება“ (ანუ განდევნის ბრძანება ბოროტი სულისადმი) საკმარისადაა მიჩნეული იქვე დართულ შენიშვნაში.

X. [ლოცვაჲ ფუცებისაჲ მრავალთა ყრმათათვის]

როცა ინათლება მწკსი (ანუ მოზრდილი ყრმა, ან ზრდასრული კაცი), ან მოსანათლავი ყრმანი მრავლად არიან, დამატებით იკითხება მათთვის სხვა „შეფუცებანი“. პირველ შეფუცებაში ჩამოთვლილია ქრისტეს სასწაულთმოქმედებანი: ბრძის თვალის ახელა (მათე 9,27-31; 20,30-34; მარკ. 8,22-26; 10,46-52; ლუკა 18,35-43; იოანე 9,1-38), განბოკლებულთა ანუ კეთროვანთა განწმედა (მათე 8,2-3; მარკ. 1,40-45; ლუკა 5,12-13; 17,12-14), მკელობელთა განკურნება (მათე 21,14), წიღოვანი დედაკაცის განწმედა (მათე 9,20-22; მარკ. 5,25-34; ლუკა 8,43-48), ლაზარეს მკვდრეთით აღდგინება (იოანე 11,1-45), ქვრივის მხოლოდშობილი ძის გაცოცხლება (ლუკა 7,11-16) და შესაკრებლისმთავრის ასულის გაცოცხლება (მარკ. 5,22-42), წყლის ღვინოდ გარდაქცევა (იოანე 2,1-11), ხუთი პურით ხუთი ათასი კაცის განძლება (მათე 14,15-21; მარკ. 6,34-44; ლუკა 9,12-17; იოანე 6,5-14), და შვიდი პურით – ოთხი ათასისა (მათე 15,32-38; მარკ. 8,1-9).

XI. [ლოცვაჲ ფუცებისაჲ მეორე]

მეორე შეფუცებაში ჩამოთვლილია ქრისტეს სხვა სასწაულთმოქმედებანი: ეშმაკთა ლეგეონის განდევნა (მარკ. 5,2-13; ლუკა 8,27-33), მთვარეულის („ახლისპიროვანის“) განკურნება (მათე 17,14-18.), ხელგამხმარი კაცის განკურნება (მათე 12,10; მარკ. 3,1-3; ლუკა 6,6-8), პეტრეს სიღედრის განკურნება (მათე 8,14-15. მარკ. 1,29-31; ლუკა 4,38-39), ზღვის ზედაპირზე სიარული (მათე 14,25), პეტრეს გადარჩენა დანთქმისაგან (მათე 14,28-32), ქარისა და ზღვის შერისხვა და დაწყნარება (ლუკა 8,24), ფერისცვალება მთაზე (მათე 17, 1-9; მარკ. 9,2-9; ლუკა 9,28-36), განრღვეულის განკურნება (იოანე 5,8).

XII. [ლოცვაჲ ფუცებისაჲ მესამე]

მეორე შეფუცებას ახლავს მითითება, რომ იგი უნდა შესრულდეს „წინა-უკუანა დღეთა“, ე. ი. ყოველდღე კათაკმეველობის პერიოდის ბოლოს, უშუალოდ ნათლისღების წინა დღეებში (XI,19), ხოლო აღვსებას (ე. ი. აღდგომის წინა საღამოს,

დიდ შაბათს) ნათლისღებადღე დაემატება კიდევ ერთი შეფუცების ლოცვა (XII,3-67). აქ შეფუცება ერთადერთი ფრაზით გამოითქმის: „განეშორებით და ივლტოდეთ, ყოველნო სულნო ბოროტნო“ (66-67), ლოცვის დანარჩენი ნაწილი კი არის ღმრთის დიდებისმეტყველება ფსალმუნისა და ესაიას წინასწარმეტყველების უხვი ციტირებით.

XIII. [ლოცვაჲ ფუცებისაჲ, აღსრულებისა]

ესაა წინა ლოცვის დასასრული, რომელიც სხვა ლოცვების დასასრულადაცაა მითითებული (IX,18-19; XI,20-21)

XIV. კუერექსი ნათლისცემისაჲ

კუერექსი შედგება 12 მცირე ვერებისაგან, კათაკუმეველთა განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, ცოდვათა მიტევებისა და ზეცათა სასუფეველის დამკვიდრებისათვის.

XV. [ლოცვაჲ Ⴀ კათაკუმეველთაჲ]

მღვლედი ევედრება ღმერთს, ნათლისღებისათვის განმზადებულ კათაკუმეველთ ასწავლოს საღმრთო ჭეშმარიტება, ღირსყოს ისინი მეორედშობის საბანელს (ე. ი. წმ. ემბაზს) და შეაერთოს კათოლიკე ეკლესიას.

XVI. ლოცვაჲ Ⴁ კათაკუმეველთაჲ

აქაა ვედრება მამა ღმერთისადმი, რათა მის მიერ ნათლისღებად მოწოდებულნი ღირსი განადოს ამ მოწოდებისა („ჩინებისა“), დაიცვას და განამტკიცოს ისინი სიწმიდით. ლოცვა ბოლოვდება ასამაღლებლით, რომელიც კვლავ მამა ღმერთისადმია მიმართული, და მაშასადამე, იგი ლოცვის დანარჩენ ნაწილთან შეთანხმებულია. ზემოთ, სხვა ლოცვებში, როგორც ვნახეთ, ამგვარი შეთანხმება არ ყოფილა.

XVII. [წესი ჯმნისა და შედგომისაჲ]

კათაკუმეველთა ლოცვების შემდეგ, ნათლისღებადღე, სრულდება წესი „ჯმნისა და შედგომისა“. ჯ მ ნ ა ნიშნავს გამიჯვნას, განდგომას, ვინმესთან ერთობის გაწყვეტას (*ἀποστάσιμα*). იგულისხმება განდგომა ეშმაკისაგან ანუ სატანისაგან, რასაც მოჰყვება ქრისტეს შედგომა (ანუ გაყოლა, მიღევნება, ქრისტეს გზით სვლა, *συστάσιμα*).

ეს წესი სრულდება ასე: ჯერ დასავლეთით მიაქცევენ კათაკუმეველთ და ათქმევილებს: „ვიჯმნი შენგან, ემბაკო, შენგან და საქმეთა შენთაგან...“ შემდეგ მოაქცევენ აღმოსავლეთით და ათქმევილებს: „შეუღვებით ქრისტესა“.

„კურთხევათა“ გვიანდელ ქართულ კრებულებში გვხვდება „ჯმნისა და შედგომის“ ერთი წესი, რომლის შესრულებაც დიდ პარასკევსა მითითებული, და, მაშასადამე, ითვალისწინებს კათაკუმეველობისა და ნათლისღების რიტუალების განფენას მთელი დიდი მარხვის განმავლობაში.²¹ ამ მხრივ იგი გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებს სინური ხელნაწერებით შემონახულ იერუსალიმურ წესთან, და ქრონოლოგიურადაც დიდად არ უნდა იყოს მისგან დაშორებული.

XVIII. [კურექსი და ლოცვაჲ, და შემოსაჲ სანათლავისა სამოსისაჲ]

ლოცვა ეხება ნათლისღებად წარმომდგარ კათაკუმეველთ, რათა ღმერთმა ნათლისღების საიდუმლოთი განაახლოს მათი „ძველი კაცი“ (რომ. 6,6), ანუ აღმოიყვანოს ცოდვითი დაცემულობიდან და აღავსოს სულიწმლის ძალით.

აქვე, ლოცვის შემდეგ მითითებულია მღვდელთა და დიაკონთა შემოსვა ს ა ნ ა თ ლ ა ვ ი ს ა მ ო ს ე ლ ი თ (იგულისხმება სპეტაკი ანუ თეთრი შესამოსელი), და ნელსაცხებლის (მირონის) დადგმა ემბახის („სანათლოჲს“) კიდეზე. „სანათლოსთან“ მირონის დადგმა, შესაძლოა, იმისთვის იყო საჭირო, რომ მოგვი-

21 „ჯ მ ნ ა ჲ და შე დ გ ო მ ა ჲ, რომელი იქმნების მღვდელთმოდურისა მიერ წმიდასა დიდსა პარსკევსა“ (იხ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერები: A450, 405v-410v; A72, 298v-303v; H1742, 209v-213r; H1352, 194v-197v; Q106, 232v-236v; A48, 393r-398r; A895, 164r-167v; A186, 2244-2246) (ე ქ ვ თ ი მ ე კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბ., 2002 2002: 67). შესატყვისი ბერძნული ტექსტი შეტანილია ბარბერინის „ეკქოლოგიონში“ (*Ἀπόταξις καὶ σύνταξις, γυσιμένη ὑπὸ τοῦ ἀρχιεπισκόπου τη/ ἄρχι παρασκευῆ τοῦ Πάσχα*) – S. Parenti ed E. Velkovska (ed.), L'Euclologio Barberini Gr. 336, Roma 1995, 143-151.

ანებით ერთობლივად კურთხეულიყვნენ ისინი, როგორც „სა-
ცხოვრებელნი სიწმიდენი“ (XX,11-12).

XIX. [კვერექსი ნელსაცხებლის კურთხევისა]

კვერექსი შეიცავს ვედრებას, რათა ღმერთმა აკურთხოს, სულთა და ხორცთა განმწმედელი მადლითა და ძალით ალავსოს წინამდებარე ნელსაცხებელი.

XX. [ლოცვაჲ წმიდასა საბანელსა და ნელსაცხებელსა ზედა]

ლოცვა მიმართულია მამა ღმერთისადმი, რაც დასაწყისშიცაა ხაზგასმული („მამაო მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსო, მხოლოდშობილისა ძისა შენისაო...“), და ასამაღლებელშიც („სასოებად შეუძრველად სასუფეველსა ქრისტეს შენისასა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ სულით წმიდითურთ...“).

ლოცვა წარმოადგენს ვედრებას, რათა ღმერთმა გარდამოავლინოს სული წმიდა და აკურთხნეს „ესენი“ (XX,8). აქ, ერთი შეხედვით, მკვეთრად არ ჩანს, ვინ არიან „ესენი“ – ნათლისღებისთვის განმზადებული კათაკუმეველნი თუ მირონ-სანათლოჲ. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა ლოცვაში უკვე იყო თხოვნა კათაკუმეველთათვის სულიწმიდის მოვლინებისა (XVIII,5), და იმავე თხოვნის გამეორება, ემბაზთან მირონის დადგმის შემდეგ – რაიმე საჭიროებით მოტივირებული არ ჩანს; თანაც ამ ლოცვას ნელსაცხებლის (მირონის) კურთხევის კვერექსი უძღვის წინ (კვერექსი კი, ჩვეულებრივ, შესაბამის ლოცვასთან არის ზოლმე დაწყვილებული), – აქ მოხსენიებული „ესენი“ – სწორედ მირონი და ემბაზი უნდა იყოს (ან მხოლოდ მირონი), და არა კათაკუმეველნი.

გარდა ამისა, „ესენი“, როგორც ლოცვაშია ნათქვამი, უნდა გახდნენ „საჭურველ ძლიერების ყოვლისა მიმართ კელმწიფებისა მტერისა, საკსრად ყოვლისა წინააღმდეგობისა ძალისა, მკსნელად ყოვლისაგან სულისა ბოროტისა, და საცხოვრებელად სიწმიდედ“, რაც ამ სიტუაციაში მხოლოდ სანათლოჲსა და მირონის შესახებ შეიძლება ითქვას, ამიტომაც ეს ლოცვა სწორედ მათ კურთხევად უნდა იქნეს მი-

ჩნეული. უფრო კი, ვფიქრობთ, აქ მხოლოდ მირონის კურთხევა უნდა ყოფილიყო თავდაპირველად (რადგანაც წყლის კურთხევისათვის ქვემოთ საგანგებო ლოცვებია განკუთვნილი), და „აკურთხენ ესენი“-ს ნაცვლად (XX,8) „აკურთხე ესე“ უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, მირონის კურთხევა, რაც შემდგომში დიდი ხუთშაბათის განსაკუთრებულ წეს-განგებად იქცა, იერუსალიმური წესის მიხედვით ნათლისღების რიტუალის ერთ-ერთი ნაწილი ყოფილა.

XXI. [კუერექსი წმიდასა საბანელსა ზედა]

კუერექსი შეიცავს თხოვნას წყლის კურთხევისათვის, რათა მასზე „დაენერგოს“ (ანუ გადმოვიდეს) მადლი სულიწმიდისა, შეიძინოს ხორცთა და სულთა კურნების ძალა, ხოლო მასში ნათელღებული ჭეშმარიტი ნათლის (ე. ი. ღმრთის) ძედ გარდაიქმნას.

XXII. [ლოცვაჲ ნათლისმღებელთა ზედა]

გამოთქმულია ვედრება, რათა ღმერთმა ნათლისღების საშუალებით „გამოხატოს ქრისტე“ ნათლისღებადის „ასოთა შინა“ და დაენერგოს იგი „ნერგად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა“.

გარკვევით არ ჩანს, ლოცვა წმ. სამების რომელი ჰიპოსტასისადმია მიმართული: ასეთად ერთგან მამა ღმერთი ჩანს, სადაც დასახელებულია „მისი ქრისტე“, ანუ მისი ცხებული („გამოხატე ქრისტე შენი ასოთა ამათა“ XXII, 14-15), მეორეგან კი — ძე ღმრთისა, სადაც იგი ეკლესიის მეთაურად ცხადდება: „წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შენსა...“ (XXII,18). ასამაღლებელი კი („მიცემაჲ დიდებისაჲ“) ლოცვას არ ერთვის, რაც მომდევნო შენიშვნაშიცაა გაცხადებული: „ესთენ ოდენ თქუას ესე ლოცვაჲ, რამეთუ არა არს ჩუეულებაჲ მიცემაჲ დიდებისა“ (XXIII,1-2).

ტექსტობრივად ეს ლოცვა თითქმის ზედმიწევნით ემთხვევა ნათლისღების განგების გვიანდელ რედაქციებში ჩართულ ლოცვას: „რომელი მოწყალე და მწყალობელ ხარ ღმერთი, რომელი განიკითხავ გულთა და თირკუმელთა...“ (‘Ο ευφραγγχος και

ἐλεήμων Θεός, ὁ ἐτάζων καρδίας καὶ νεφρούς...).²²

XXIII. ლოცვაჲ წყალთა ზელა

ესაა ნათლისღების წყლის კურთხევის მთავარი ლოცვა, არქაული ფორმა იმ ლოცვისა, რომლის დასაწყისია: „დიდ ხარ შენ, უფალო...“ (**Μέγας εἰ Κύριε**),²³ და რომელიც განკუთვნილია წინააღმდეგომ ძალთაგან და საეშმაკო მოქმედებათაგან მისი განწმედისათვის, რათა განწმედილი წყალი იქცეს წყაროდ სიწმიდისა, ცოდვათა მიტევებისა და სულიერი განათლებისა. ამიტომაც ლოცვას ერთვის შესაბამისი მოქმედებანი – შებერვა და ჯვრის გადასახვა.

ლოცვის უძველესი ვარიანტი, რასაც ამჟამად ჩვენ ვაქვეყნებთ, დასაწყის ნაწილში ძალზე მოკლეა და გვიანდელი წესგანგებით ცნობილ **Μέγας εἰ Κύριε**-ს მხოლოდ რამდენიმე ფრაზით ემთხვევა (იხ. ქვემოთ, შენიშვნებში), ლოცვის მეორე ნაწილით კი თითქმის სრულად ემთხვევა მას.

ლოცვა მიმართულია მამა ღმერთისადმი, რაც გაცხადებულია დამაბოლოებელ დიდებისმეტყველებაში: „ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ და სიმტკიცე სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ“ (XXIII,42-44).

22 J. G o a r, Euchologion, Sive Rituale Graecorum, Graz 1960, 288. A. Д м и т р и е в с к и й, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотекахъ православнаго востока, Томъ II, **Εὐχολόγια**, Кіевъ, 1901, გვ. 2, 26, 54, 177, 189, 194, 208... **Εὐχολόγιον τὸ μέγα, τῆς κατὰ ἀνατολὰς ὀρθοδόξου καθολικῆς ἐκκλησίας, περιεχὸν τὰς τῶν ἐπὶ τὰ μυστηρίων ἀκολουθίας, Σπουδὴ καὶ ἐπιστάσις Σ. Ζέρβου ἱερομονάχου, Ἀθῆναι** 1992, 137-138; S. Parenti ed E. Velkovska (ed.), L'Eucologio Barberini Gr. 336, გვ. 109-110. დიდნი კურთხევანი, გვ. 100-101; კურთხევანი, ძალითა ღმრთისაჲთა თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კ უ პ რ ი ა ნ ე ს მიერ სამთავნელისა, გვ. 27-28.

23 J. G o a r, Euchologion, გვ. 288-289. **Εὐχολόγιον τὸ μέγα**, გვ. 138-140; S. Parenti ed E. Velkovska (ed.), L'Eucologio Barberini Gr. 336, გვ. 111-114. დიდნი კურთხევანი, გვ. 101-103; კურთხევანი, ძალითა ღმრთისაჲთა თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კ უ პ რ ი ა ნ ე ს მიერ სამთავნელისა, გვ. 28-31.

ტექსტში რამდენიმე გვიანდელი, გადამწერისეული შეცდომა ვკვებება (იხ. შენიშვნები), რაც შერყვნილი და დაზიანებული დედნით უნდა აიხსნას. ეს კი ქართული თარგმანის დიდ სიძველეს მოწმობს.

XXIV. [შთასხმაჲ ნელსაცხებელისაჲ ემბაზსა შინა]

აქ აღწერილია ემბაზში ნელსაცხებლის ჩასხმის რიტუალი: მღვდელი მარჯვენა ხელისგულზე დაისხამს ნელსაცხებელს, თითებს მომუჭავს და ჩაყოფს ემბაზში და ჯვარს გადასახავს წმ. სამების სახელით. შემდეგ აიღებს ემბაზის კიდეზე მდგომ ზეთს, წარმოთქვამს „აღელუას“ და მის მუხლებს („კმაჲ უფლისაჲ წყალთა ზედა“ და „ღიდებაჲ“), ხოლო ერი მიმოვლებით (ე. ი. მარჯვენა და მარცხენა გუნდების მონაცვლეობით) გალობს „აღელუას“. გალობის დასრულების შემდეგ მღვდელი ზეთს ჩაასხამს წყალში „ჯუარისსახელ“, ე. ი. ჩასხმისას ჯვარს გამოსახავს.

XXV. [ცხებაჲ ზეთისაჲ და ნათლისცემაჲ]

ნათლისცემის წინ კათაკმეველთ გახდიან სამოხელს; დიაკონები სცხებენ ზეთს წმ. სამების სახელით და ჩაუშვებენ ემბაზში; შემდეგ მღვდელი ნათელ-სცემს თავჩაყოფით სამეზის,²⁴ და

24 გამოთქმა „ნათელ-სცეს... სამეზის“ ნიშნავს არა ნათლისღების საიდუმლოს სამეზისობას, არამედ თავის ჩაყოფინებას სამეზის. „სამი ნათლისღების“ (ანუ სამეზისი თავის ჩაყოფის) მითითებას ვხვდებით მოციქულთა კანონებში: „უკუეთუ ვინმე ეპისკოპოსმან ანუ ხუცესმან არა სამნი ნათლისღებანი ერთისამე საიდუმლოობისანი სრულ-ყვნეს, არამედ ერთი ნათლისღებაჲ, სიკუდილისა მიმართ უფლისა აღსრულებული, — განიკუეთენ“ (მოციქ. კან. 50). (გაბიაშვილი 1975: 221). „ნათლისღების“ ბერძნული შესატყვისი **βάπτισμα** სწორედ „თავის ჩაყოფას“, „ჩაყვინთვას“ ნიშნავს, ამიტომაც გამოთქმა — „სამნი ნათლისღებანი“, რაც მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით სამეზის თავის ჩაყოფას გამოხატავს, ბერძნულენოვან მკითხველთათვის გაუგებარი არ რჩება. ხოლო რადგანაც **βάπτισμα**-ს შესატყვისი ქართული ტერმინი „ნათლისღება“ „ჩაყვინთვის“ ნიუანსს არ შეიცავს, „სამი ნათლისღების“ ხსენება, შესაძლოა, გაუგებრობის წყაროდ იქცეს. ამიტომაც „დიდი სჯულისკანონის“ ქართულად მთარგმნელს, არსენ იყალთოელს ზემოხსენებული კანონისათვის დაურთავს შენიშვნა: „შეისწავე სამნი ნათლისღებანი ნაცვალად სამთა შთაყოფათა (გაბიაშვილი 1975: 221).

წარმოთქვამს ნათლისღების ფორმულას: „ნათელ-იღებს... სახელითა მამისადათა და ძისადათა და სულისა წმიდისადათა“. შემდეგ აღმოიყვანენ ემბაზიდან, შეამშრალებენ ახალი ტილოთი და მღვდელი სცხებს ნელსაცხებელს სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე.

XXVI. [ლოცვაა შემდგომად ნათლისცემისა]

მიმართულია მამა ღმერთისადმი, რაც ასამაღლებელში მკვეთრადაა გამოხატული. შეიცავს ვედრებას – ახალნათელღებულნი დაიფაროს ყოველივე ბოროტისაგან, მოჰმადლოს სრული გამოხსნა და შვილება, და ღირს-ყოს საუკუნეთა საშუებელთა (ანუ ზეცათა სასუფეველს).

XXVII. [ლოცვაა თავმოდრეკისაჲ]

ღიაკონი მოუწოდებს ახლადმონათლულთ, მოიდრიკონ თავი, ხოლო მღვდელი წაიკითხავს ლოცვას, კვლავ მამა ღმერთისადმი, თავმოდრეკილთათვის.

XXVIII. [შესლვაა ეკლესიად და შემთხვევაა საკურთხეველისა]

ნათლისღების დასრულების შემდეგ მთელი საეკლესიო კრებული სანათლოდსაგან (**βαπτιστήριον**) მიემართება ეკლესიისაკენ ანთებული კერიონებით (**κηρίον**) ანუ სანთლებით. გზად გალობენ: „რომელთა-ეგე ქრისტჳს მიერ ნათელ-გილებიეს, [ქრისტე შეგიმოსიეს]“ (გალატ. 3,27).

ეკლესიაში შესვლისთანავე ახლად ნათელღებულნი ემთხვევიან საკურთხეველს (აღბათ, ღიაკონთა მითითებით, რადგან ნათქვამია: „საკურთხეველს ამთხვევინონო“). საკურთხეველი წმ. ზიარების ტრაპეზია, ხოლო ტრაპეზის მთხვევა ზიარების წმ. საიდუმლოში მონაწილეობას მოწმობს. ამიტომაც, ჩანს, ახლად ნათელღებულნი პირველსავე ლიტურგიაზე, ე. ი. ქრისტეს აღდგომის დღესასწაულზე ეზიარებოდნენ ქრისტეს საიდუმლოს. მართალია, წეს-განგების ტექსტში ეს პირდაპირ არაა ნათქვამი, მაგრამ საკურთხეველის მთხვევა ცხადად მიგვანიშნებს ამას.

XXIX. [ლოცვაა მერვისა დღისაჲ]

ახლად ნათელღებულნი მომდევნო კვირასაც („დღესა მერვისა“, ე. ი. კვირაცხოვლობის დღესასწაულზე) ეზიარებოდნენ.

ზიარების შემდეგ მათ წარადგენდნენ საკურთხეველის წინაშე და, კურეექსის შემდეგ, მღვდელი ულოცავდა მათ. პირველი ლოცვა შეიცავს თხოვნას, რათა დაიცვას ისინი ღმერთმა თავისი საფარველით წინააღმდეგობის (ე.ი. მაცდური სულის) განზრახვათაგან, განამტკიცოს ჭეშმარიტ სარწმუნოებასა და სათნო ცხოვრებაში, და მიაძინოს ზეცის სასუფეველს.

XXX. ლოცვაჲ 9, მოდრეკილთაჲ

დაკონის მოწოდებით ახლად ნათელღებულნი მოიდრეკდნენ თავს და ასე მოისმენდნენ მეორე ლოცვას. ამიტომაც ეწოდება მას „ლოცვაჲ მოდრეკილთაჲ“. იგი შეიცავს თხოვნას, უბიწოდ დაიცვას ღმერთმა ახლად ნათელღებულნი ამქვეყნიურ „მსხემობაში“, ²⁵ რათა ღირსი გახდნენ „მესამედ შობისა“ (მეორედ შობა – ნათლისღება იყო), ე.ი. სამარადისო სოფელში (ზეცათა სასაუფეველში) დამკვიდრებისა.

ლოცვას მოსდევს ახლად ნათელღებულთა აყვანა საკურთხეველში, კუკულის (კუნკულის) ახდა (რომელიც ერთი კვირის განმავლობაში ემოსა) და საკურთხეველის მთხვევა.

ამით მთავრდება ნათლისღებასთან დაკავშირებული რიტუალების აღწერა უძველესი იერუსალიმური ტრადიციის ქართულ „კურთხევათა“ კრებულებში.

ტექსტი მოგვყავს ორი ხელნაწერის მიხედვით:

Sin.Georg.O 12 – 7

Sin.Georg.O 66 – 9

ბოლოს ვურთავთ შენიშვნებს, ქართულ-ბერძნული ტერმინოლოგიური პარალელების აღნიშვნისათვის, აგრეთვე ტექსტის ბუნდოვანი ადგილების განხილვისა და გადამწერთა მიერ დაშვებული შეცდომების შესწორებისთვის.

²⁵ მს ხ ე მ ბ ა დ ანუ უცხოებაში ყოფნად მოიხსენიება ამქვეყნიური ცხოვრება მისი წარმავლობის გამო (მღრ. ებრ. 11,9), სამუდამო სამყოფელი კი ზეცათა სასუფეველია.

I. (101rC) ახლისა ემბაზისა განწმედასა

2 ეპისკოპოსისა¹ მიერ, გინა მღვდელისა

პირველად დასწეროს ჯუარი ოთხთავე კიდეთა ზედა ჯუა-
4 რისსახედ და საშოვალ² და ესე ლოცვაჲ წართქუას:

ღმერთო და მამაო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსო, რომელ-
6 მან სულისა წმიდითა შენითა იორდანს მდინარს განსწმიდე და
განაწესე იგი ყოფად საბანელად საღმრთოდ, ინებე აწცა და ყავ
8 ემბაზი ესე სულიერ, რაათა მიეცემოდის ამისგან ძლიერებაჲ
გამოქსნისაჲ და სიწმიდისაჲ, რაათა რომელნი მართლითა სარ-
10 წმუნოებითა ამას შინა განიბანენ, წმიდა იყვენენ ყოვლისაგან
ცოდვისა, განახლებულნი მეორედშობითა, მადლითა და კაცთ-
12 მოყუარებითა მხოლოდშობილისა ძისა შენისაჲთა, რომლისა თანა
კურთხეულ ხარ თანა ყოვლადწმიდით, ერთარსით სულით (vC)
14 შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

II. ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲ³

2 რომელი...⁴ თვთდანერგულ⁵ და თვთალორძინებულ,⁶ ღმერ-
თო, რომელმან პირველ ყოფამდე⁵ კაცისა⁶ ძალი საქმეთა მის-
4 თაჲ უწყოდე,⁷ აკურთხე ყრმაჲ ესე, მონაჲ შენი (სახელ-სდ-
ვას),⁸ რაათა იწოდოს⁹ თაყუანისმცემელად სახელისა შენისა,
6 და ყავ ესე ცხოვრად აღნიშნულად¹⁰ არვისა¹¹ შენისა, და მოიყ-
ვანე ესე საზომსა ყოვლისა სისრულისასა, განმზადე წყალთა
8 ზედა განსასუენებელთასა (1) უხრწნელისა¹² ნათლისღებისა შე-
ნისათა;¹³ გაპოხე¹⁴ ზეთითა თავი ამისი წმიდითა შენითა ნელ-
10 საცხებელითა;¹⁵ განმზადე წინაშე ამისსა ტაბლაჲ მიღებად შესა-
ძრწუნებელი საიდუმლოჲ შენი,¹⁶ და ყოველი ცხორებაჲ ამისი

1 ეპისკოსისა C. 2 საშოვალ C. 3 ქრისტიანებისა (?) M. 4 რომელ M. 5 თვთ დანერგულ CM. 6 თვთ აღორძინებულ CM. 5 ყოფად C. 6 კაცისაჲ M. 7 აუწყე C. 8 სახელად (?) M. 9 ეწოდოს M. 10 აღნიშნულად (?) M. 11 კარვისა M. 12 უკრწნელისა M. 13 შენისაჲთა M. 14 გაპოხე C. 15 შენი-თა ნელსაცხებელითა C ~ საცხებელითა შენითა M. 16 საიდუმლოჲსა შენი-სა C. (1) ფს. 22,2.

დაიცევ კელსა ქუეშე¹ (102rC) შენსა, რადთა იყოს კურთხულ და 12
 მარჯუენით² [შენსა]³ შეკრებულთა თანა⁴ დაიმკუდროს სასუფე-
 ველი შენი, რომელ განუშადე მოყუარეთა შენთა უწინარსს⁵ 14
 სოფლის დაბადებისა,⁶ (1) და შენდა დიდებასა შეესწირავთ, მა-
 მისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუენითი- 16
 უკუენისამდე, ამენ.

III. ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲვე⁷

შენ, უფალო⁸ ღმერთო ჭეშმარიტებისაო, მამაო⁹ და მომა- 2
 ვლინებელო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეჲსო,¹⁰ ღმერთო აბ-
 რაჰამისო,¹¹ ისაკისო და იაკობისო, ღმერთო მოწყალეო და შემ- 4
 წყნარებელო, ღმერთო მამათა ჩუენთაო,¹² * შენ ხარ ჭეშმარი-
 ტებისაჲ (sic.) ყოველთა ზედა დაბადებულთა, და არავინ არს 6
 სხუაჲ შენსა გარეშე უფალი¹³ და რომელ-ეგე მოავლინე – ღმერ-
 თი ჩუენი იესუ ქრისტე, ძმ შენი საყუარელი, შენ შეიწყალე 8
 მონაჲ ესე შენი (სახელით), რომელი მოვიდა და შეევეღრა¹⁴
 სახელსა (vC) შენსა და დაეფარა საფარველსა ფრთეთა შენ- 10
 თასა; შენ მოსპე ამისგან საცთური იგი წინანდელი და განჰკსენ
 სარწმუნობაჲ შენი ჭეშმარიტი გულსა ამისსა და აღავსე ესე 12
 სასოებითა შენითა და სიყუარულითა შენითა და მოეც ამას
 სლვაჲ მცნებათა შენთა, და დაცვაჲ სამართალთა შენთა, რამეთუ 14
 ესე არს ცხორებაჲ, რომელთა ყვიან ესე, და შერთე ესე ერსა მას
 მკუდრობისა შენისასა, დაწერე სახელი ამისი წიგნსა მას ცხ- 16
 ოველთასა, თუალნი შენნი იყვნედ წყალობით ამის ზედა მარა-
 დის, და უძელუ ამას სიმართლითა მადლისა შენისაჲთა, და იყავნ 18

* აქ წყდება M ფრაგმენტი.

1 ~ ქუეშე კელსა M. 2 მარჯუენით M. 3 შენსა – CM. 4 თანა] შენთა
 M. 5 უწინარსს CM. 6 მოყუარეთა შენთა უწინარსს სოფლის დაბადებისა ~
 უწინარსს სოფლის დაბადებისა მოყუარეთა შენთა M. 7 M-ში იკითხება ამ
 სიტყვის პირველი სამი ასო, დანარჩენი გადარეცხილია. 8 ო~ და C. 9 მამაო
 – C. 10 ქემსო C, ქრისტესო M. 11 აბრაამისო M. 12 ღმერთო მამათა
 ჩუენთაო] და ფრიად შემწყნარებელო ღმერთო ჩუენო M. 13 ო~ და C. 14
 შევეღრა C. (1) ეფეს. 1,4; I კორ. 2,9; მათე 25,34.

ესე ქრისტიანე ჭეშმარიტი კათოლიკე ეკლესიისა¹ შენი-
 20 საა, რაათა შენ მხოლოდსა მიმართ (103rC) უფლისა, კელითა
 ქრისტესითა² იყოს თაყუანისმცემელ, და აგიარებდეს ყოველთა
 22 დღეთა ცხორებისა მისისათა სიცოცხლით და სამართლით, სა-
 ქმეთა შინა კეთილთა. უფალო, შენ მოეც ამას სასოებაჲ კეთილი
 24 სასუფევ[ე]ლ[ი]სა³ ცათაჲსა,⁴ რომელსა ელიან ყოველნი ქრის-
 ტიანენი ჭეშმარიტნი მოსლვასა უფლისა ჩუენისა იესუ
 26 ქრისტეჲსსა,⁵ ყოველთა⁶ თანა წმიდათა, რომელნი სათნო-გეყვნეს
 შენ, და შენდა დიდებაჲ, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა,
 28 აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

IV. ლოცვაჲ ნათლისმღებელთა ზედა

2 ღმერთო დიდო, რომელმან ასწავე კაცთა მეცნიერებაჲ და
 გამოიყვანენ ბნელისაგან ნათლად და განანათლენ⁷ ნათლითა მაგ-
 4 ით მეცნიერებისაჲთა, რომელსა კუალს დგებიან სიტყუასა კრძა-
 ლულებისასა, რაათა იყვნენ შემძლებელ შეწყნარე(vC)ბად ზეცი-
 6 სათა მათ ნიშთა, განახლებითა სულისა წმიდისაჲთა, მადლითა
 და კაცთმოყუარებითა ქრისტეს⁸ შენისაჲთა, რამეთუ შენი არს
 8 სუფევაჲ, ძალი და დიდებაჲ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა
 აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

V. ლოცვაჲ კათაკუმეველთა ზედა

2 უფალო ღმერთო ჩუენო, სასოო ყოველთაო, რომელნი ჰხა-
 დიან სახელსა შენსა წმიდასა, გამოაჩინე პირი შენი მონათა
 4 შენთა ზედა კათაკუმეველთა, და განწმიდენ იგინი ჭეშმარიტები-
 თა შენითა, განანათლენ და სრულ ყვენ სახელითა იესუ ქრის-
 6 ტსს, მხოლოდშობილისა ძისა შენისაჲთა, რომელი დასდევ სა-
 ლხინებელად ყოველთა წარმართთა; სარწმუნოებით მეორედ შვენ
 8 იგინი და განახლებითა მადლისა შენისაჲთა განათლებად მათდა
 წმიდითა საიდუმლოთა შენითა და დიდებითა სახარებისა⁹ (104rC)

1 ეკლესიაჲსა ო. 2 ქწსითა ო. 3 სასუფ[.]ელ[.]სა ო. 4 ცათასა ო. 5
 ქეჲსსა ო. 6 ყოველთა + თა ო. 7 განანათლენ]განა ო. 8 ქრისტე ო. 9
 სახარებითა ო.

ქრისტეს¹ შენისადათა, რადათა ივინიცა² თანა-შეერთნენ წმიდასა 10
 სამწყსოსა შენსა და ჩუენ თანა აღიდებდენ ყოვლადაპტიოსანსა
 და დიდებულსა და წმიდასა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და 12
 წმიდისა სულისა³ აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე, ამენ.

VI. ესრეთ⁴ ჯერ-არს ყოფად, რომელნი მოვიდოდენ⁵ წმი-
 დასა ნათლისღებასა: უკუეთუ იყოს შვილი ქრისტიანისაჲ, 2
 ყრმაჲ გინა მწჳსი, დაიწეროს სახელი მისი და მღღელმან
 უბრძანოს მარჯუენისა მუკლისა მოდრეკაჲ დიდსა კარსა ეკ- 4
 ლესიისასა აღმოსავალით, ჯუარი დასწეროს და თქუას ეს-
 რეთ:⁶ აღიბეჭდვის სახელითა მამისადათა და ძისაჲ- 6
 თა და სულისა წმიდისადათა.

უკუეთუ იყოს წარმართთაგანი, ყრმაჲ გინა მწჳსი, უბრ- 8
 ძანოს მღღელმან მარჯუენისა მუკლისა მოდრეკაჲ და კარსა
 (vC) ეკლესიისასა აღმოსავალით ჯუარი დასწეროს ცერითა 10
 მარჯუენითა ღუმლით, და ამისა შემდგომად კელი დასდვას
 თავსა ზედა მისსა და ესე ლოცვაჲ წართქუას: 12

კურთხეულ ხარ შენ, ღმერთი და მამაჲ უფლისა ჩუენისა
 იესუ ქრისტესსი, რომელმან ყოველთაგან თესლთა გამოირჩიე ესე 14
 მოგებული მოშურნედ კეთილთაგან საქმეთა შენთა, უფალო, მოს-
 რული ესე მონაჲ შენი წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შენსა; 16
 აკურთხე და დაიცევ და განანათლენ თუალნი მისნი გულისხმის-
 ყოფად სასწაულთა შენთა, შეჰრაცხე ესე კათაკუმეველთა თანა 18
 ერისა შენისათა, რადათა ჟამსა შეწყნარებისასა ღირს იქმნეს
 საბანელსა მას მეორედშობისასა და შეიმოსოს უხრწნელებაჲ. 20

აქამდე თქუას მღღელმან, (105rC) რამეთუ არა არს ჩუე-
 ულებაჲ მიცემად დიდებისა, და კათაკუმეველად შეირაცხების 22
 კათაკუმეველი იგი.

VII. შემდგომად ლოცვისა აღადგინოს იგი მღღელმან და
 მიიყვანოს, სადა-იგი აღიწერნიან სახელნი კათაკუმეველთანი 2
 და დაწეროს სახელი მისი და მოუდრიკოს მუკლი მარჯუენს

1 ქრისტე C. 2 ივიცა C. 3 მამასა და ძესა და წმიდასა სულსა C. 4 ესრეთ
 C. 5 მოვიდოდნ (?) C. 6 ესრეთ C.

4 მისი აღმოსავალით და ჯუარი დასწეროს და თქუას: სახელი-
თა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა.

VIII. და შემდგომად ჯუარისდაწერისა მათ ზედა, ესე ლოცვაჲ

2 წართქუას: შენ უფალო, მაცხოვარებაჲ¹ მოავლინე სოფლად,
 რამეთუ სიტყუაჲ წმიდაჲ შენი გარდამოავლინე, რაათა აღავსოს
 4 ქუეყანაჲ ცნობად ღმრთეებისა შენისა და განდევნად² მკლომი
 ცხორებისათჳს კაცთაჲსა. შენ იკსენ მონაჲ ესე შენი ბოროტი-
 6 საგან,³ განანათლე და უძელუ ამას სიწმიდესა (vA) მადლითა
 ქრისტეს⁴ შენისაათა, და ნუ ჰპოებნ მკლომი ამის თანა, რომელი
 8 უხილავთა ჰხედავ და დაფარულნი იცნი, მხოლოო მკურნალო
 თჳსთა დაბადებულთაო და მკსნელო ნათესავისა კაცთაჲსაო,
 10 რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი და შენი არს დიდებაჲ, მამისა და
 ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუენითი-უკუ-
 12 ნისამდე, ამენ.

IX. ამისა შემდგომად აღადგინოს⁵ იგი ფერკდაწყობით და

2 ჰბეროს პირსა მისსა და ორნივე კელნი მისნი ზე-აჰყრობად
 სცნეს შეწყობით. შეჰბეროს პირსა და ესე ლოცვაჲ წართქუას:
 4 გხადით შენ, უფალო ყოვლისა მპყრობელო, უფალსა ჩუენსა
 იესუ ქრისტესა, ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, განიხილე
 6 გული მონისა შენისაჲ, რომელი-ესე მოუკდა წმიდასა შენსა
 ნათლისღებასა, და უკუეთუ არს ამას თანა გული უკეთური
 8 ურწმუნოებისაჲ (106rC) დადგრომილი გინა წინააღმდეგომი ძა-
 ლი, ამხილე მას და განდევნე, რაათა მიიღოს სული წმიდაჲ
 10 შენი განსანათლებელად და საცხორებელად.

გამცნებ მე ყოველსა სულსა ბოროტსა და განდგომილსა
 12 უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა, –
 ივლტოდეთ და განეშორენით ყოველთაგან მორწმუნეთა, რომელ-
 14 თა ჰრწამს სახელი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსი და ჰსურის
 მიღებად სული წმიდაჲ მისი.

1 მაცხოვრებ~ა ტ. 2 განდევნებად ტ. 3 ბოროტისაგ~ ტ. 4 ქრისტე ტ. 5
 აღადგინოს + აღადგინ~ს (!) ტ.

უკუეთუ ერთი იყოს, გინა ორნი იყვნენ, ესთენ ოდენ 16
 თქუას მღდელმან ლოცვაჲ ესე და კუალად შეჰბეროს და
 წართქუას ნეშტი ლოცვისაჲ: რამეთუ არა სიმართლისა და 18
 ღირსებისა ჩემისა სასოებითა გაფუცებ შენ...

X. უკუეთუ იყოს მწუხი და ყრმანიცა მრავლად იყვნენ,
 შეჰრთე ესე ლოცვაჲ: რამეთუ სახელსა უფლისასა ვხადით შენ 2
 ზედა და (vC) გამცნობთ შენ, ნულარა დაიბუდებ, ნუცა შეეხები
 კორცთა ამათთა, არამედ ივლტოდი და განეშორე და ნულარა 4
 მოიქცევი; გაფუცებ შენ, სულო ბოროტო და არაწმიდაო, სახ-
 ელსა უფლისასა, რომელმან ქმნა ნიშები და სასწაულები ჰური- 6
 ასტანს, გალილეას და წიალ-იორდანესა, რომელმან ბრმასა თუ-
 აღნი აუხილნა, კეთროვანი განწმიდა და მკელობელნი ავლინნა, 8
 განბოკლებული განკურნა, რომელმან ათრვამეტიცა წლისა დედა-
 კაცი წილოვანი განწმიდა და ლაზარე ოთხისა დღისაჲ მკუ- 10
 დრეთით აღადგინა, და ქურივისაჲ მის ძმ ცოცხალი წარუდგინა
 და შესაკრებლისმთავრისაჲ მის ასული განაცოცხლა და პირვე- 12
 ლი სასწაული კანას გალილეაჲსასა (107rC) წყალი ღვინოდ
 გარდაქცია: რომელმან ხუთითა პურითა ხუთ-ათასნი განაძღნა, 14
 და შუდითა პურითა – ოთხ-ათასნი, რომლისა შუენის დიდებაჲ
 აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. 16

XI. და კუალად შეჰბეროს და თქუას:

იხილე, სულო ბოროტო და არაწმიდაო, რომლითა სახელ- 2
 ითა გაფუცებ შენ: გაფუცებ შენ სახელითა უფლისა ღმრთისა და
 მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესს ნაზარეველისაჲთა, რომელ- 4
 მან ლეგეონი ეშმაკთაჲ განდევნა და კოლტსა მას¹ ღორთასა
 მიაგლინა; (1) რომელმან ახლისპიროვანი იგი განკურნა (2) და 6
 რომლისა-იგი კელი განკმელ ედგა, განკურნა დღესა შაბათ-
 სა, (3) რომელმან შეჰრისხნა კურვებასა და სიდედრი პეტრწსნი 8
 განკურნა, (4) რომელი ვიდოდა ღელვათა ზედა ზღვსათა, ვი-

1 მ ა ტ.

(1) მარკ. 5,2-13; ლუკა 8,27-33. (2) მათე 17,14-18. (3) მათე 12,10; მარკ. 3,1-3; ლუკა 6,6-8. (4) მათე 8,14-15. მარკ. 1,29-31; ლუკა 4,38-39.

- 10 თარცა (vC) კმელსა ქუეყანასა; (1) რომელმან პეტრეს კელი
 მისცა და დანთქუმისაგან¹ განარიდა; (2) [რომელმან ჟამსა] რო-
 12 მელსა მოწაფენი მიმოიტაცებოდეს ღელვათაგან, შეჰრისხნა ქა-
 რთა და ზღუასა და დადუმნეს; (3) რომელმან იცვალა ხატი
 14 დიდებით მთასა ზედა წინაშე მოწაფეთა მისთა და ეჩუენნეს მის
 თანა მოსე და ელია;² (4) რომელმან განრღუეულსა მას ათრვა-
 16 მეტისა წლისასა მდებარესა უბრძანა და ჰრქუა მას: „აღდეგ,
 აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე“, (5) განეშორენით და ივლ-
 18 ტოდით, ყოველნი სულნი ბოროტნი და განდგომილნი.

წინა-უკუანა ღლეთა სოქუა ფიცებად ესე. დასასრულად

- 20 ამისა ესე სოქუა: რამეთუ არა სიმართლისა და ღირსებისა
 ჩემისა სასობითა გაფუცებ შენ...

XII. ხოლო აღვსებასადა, ნათელ-სცემდე [რაჲ], ესე ლოცვაჲ

2 შეჰრთე: (108rC)

- ვინ არს ღრუბელთა შინა, რომელი ესწოროს უფალსა, ანუ
 4 ვინ ემსგავსოს უფალსა ძეთაგანი ღმრთისათაჲ; (6) იგი თავადი
 უფლებს წყალთა ზედა ზღუსათა და ოხრაჲ ღელვათა მისთაჲ
 6 მან დააცხრვის. (7) მან თავადმან შეზღუდა ზღუაჲ ბჭეებითა,
 გან-რაჲ-ვიდოდა მუცლისაგან დედისა თუსისა და დადვა ღრუბე-
 8 ლი სამოსლად მისა (Irღ)* და ნისლითა წარგრაგნა იგი, შეზღუ-
 და იგი მოქლონებითა და ბჭეებითა³ და⁴ ჰრქუა მას: აქამოდ⁵
 10 მოხვიდე⁶ და არა გარდაჰკდე, არამედ შენ ზედა⁷ შეიმუსრნენ⁸
 ღელვანი შენნი!⁹ და დადვა ქუშაჲ¹⁰ საზღვრად¹¹ საუკუნოდ და
 12 არა გარდაჰკდე¹², რომელმან აღწყნა¹³ პეშითა წყალნი და ცა-
 ნი მტკავლითა და ყოველი ქუეყანაჲ ბრჭალითა,¹⁴ რომელმან
 14 აღწონნა მთანი სას(vC)წორითა და ბორცუნი¹⁵ უღლითა. (8)

* აქედან იწყება ღ-ის პირველი ფრაგმენტი (Ir-v).

1 დათქმისაგან C. 2 ელი C. 3 ბჭეებითა ღ, ბჭეებითა C. 4 და – ღ. 5
 აქამდე ღ. 6 მოხუდე Cღ. 7 ზედავე C, ზედა ღ. 8 შეიმოსრნენ ღ. 9 შნი ღ.
 10 ქოუშაჲ ღ. 11 საზღოვარად ღ. 12 გარდაჰკდე] გარდაჰკდა ესე ღ. 13
 აწყნა ღ. 14 ბჭალითა C, ბრჭალითა ღ. 15 ბორცნი ღ.

(1) მათე 14,25. (2) მათე 14,28-32. (3) ლუკა 8,24. (4) მარკ. 9,2-5. (5)
 იოვანე 5,8. (6) ფს. 88,7. (7) ფს. 88,10 (8) ეს. 40,12.

შიშუელ არს ჯოჯოხეთი წინაშე მისსა და არა არს საფარველ წარსაწყმედელისაჲ. ბრძანებითა მისითა მოაკუდინა¹ ვეშაპი 16 განდგომილი. ვინ-მე უკუე განფიცხნა წინაშე მისსა და დაუთმო? რომელმან დაარღვნა² მთანი და არა ცნეს, რომელმან დააძუ- 18 ელნის³ იგინი რისხვითა, რომელმან შეარყიის ქუეყანაჲ საფუძველითურთ⁴ თუსით⁵ და სუეტნი მისნი (1vღ) შეირყინიან,⁶ 20 რომელმან უბრძანის მხესა და არა აღმოჰკდის და ვარსკულავთა დაჰბეჭდის; რომელმან გარდაართხნა ცანი⁷ მხოლომან და ვი- 22 დოდა ზღუასა ზედა ვითარცა კმელსა; რომელმან შექმნა⁸ კომნი და მთიები⁹ იგი მწუხრისა¹⁰ და ცისკრისაჲ¹¹ და საუნჯენი 24 იგი სამხრისანი; რომელმან ქმნა¹² დიდ-დიდნი და¹³ გამოუკულებელნი,¹⁴ დიდებულნი (109rტ) და საკურველნი,¹⁵ რომელთაჲ¹⁶ 26 არა¹⁷ არს რიცხუ;¹⁸ რომელმან აღრაცხის¹⁹ სიმრავლჳ²⁰ ვარსკულავთაჲ²¹ და ყოველთავე მათ სახელით უწესს; (1) რომელმან აღ- 28 მოიყვანის²² ღრუბელნი კილითგან ქუეყანისაჲთ²³ და ელვანი წუმად²⁴ გარდააქცინის;²⁵ რომელმან გამოიყვანის²⁶ ქარნი საუნ- 30 ჯეთაგან თუსთა; (2) რომელმან აღრაცხნის ღრუბელნი სიბრძნითა²⁷ თუსითა²⁸ და²⁹ აღრაცხილ არიან წინაშე მისა³⁰ ცუარნიცა³¹ 32 წუმისანი;³² დააწყნარის³³ წყალნი ნეფსით თუსით,³⁴ რამეთუ თავადსა ცხორებისა* და სიკუდილისა კელმწიფებაჲ აქუს; შთაი- 34 ყვანის ჯოჯოხეთა და აღმოიყვანის, მოაკუდინის და აცხოვნის, წყლის და განკურნის, გუემის და კუალად მოაგის, დასცის და 36 კელითა მისითა განკურნის. რამეთუ დიდ არს ძალი მისი მარა-

* აქ წყდება ღ-ის პირველი ფრაგმენტი.

1 მოაკდინა ღ. 2 დააძუელნა ღ. 3 დააძუელნის ღ, დააძუელნა ტ. 4 საფუძველითურთ ღ. 5 თუსით ღ. 6 შეირყინიან ღ] შეიძრნიან ტ. 7 გარდაართხნა ცაჲ ტ. 8 შექმნა ტღ. 9 მთები (?) ტ. 10 მწუხრისაჲ ტ. 11 ციკრისაჲ ღ. 12 ქმნა ტღ. 13 და – ღ. 14 გამოუკულებელნი] ღ. 15 საკურველნი ღ. 16 რლთა ღ. 17 არაჲ ტ. 18 რიცხუ ტ, რიცხუ ღ. 19 აღრაცხის] აღმო[აღ]ცენის ღ. 20 სიმრავლჳ ღ. 21 მსკვლთა (მასკულავთა) ღ. 22 აღმოიყვანის ღ. 23 ქყნის~ათა ღ. 24 წუმად ღ. 25 გარდააქცინის ტ. 26 გამოიყვანის ღ. 27 სიბრძნითა ღ. 28 თუსითა – ღ. 29 და – ტ. 30 მისა ღ. მისსა ტ. 31 ცურნი ღ. 32 წუმისა ღ. 33 დააწყნარის ღ. 34 ნეფსითა თუსითა ღ.

(1) ფს. 146,4. (2) ფს. 134,7.

38 დის; ძლიერებასა მკლავისა მისისასა ვინ-მე დაუდგეს? (vC)
 რამეთუ ვითარცა წამი სა[სწური]სადა (?) არს ყოველი სოფელი
 40 წინაშე მისსა, რამეთუ არავინ არს მისებრ ძლიერ, რომელმან
 მოუწოდის წყალთა ზღვსათა და მოჰვინის იგი პირსა ზედა
 42 ყოვლისა ქუეყანისასა; უფალი ღმერთი ყოვლისა-მპყრობელი არს
 სახელი მისი, რომელმან მოხედის ქუეყანასა და შეადრწუნის
 44 იგი, შეახის მთათა და კუმოდიან. (1) შეიმოსა ნათელი, ვითარცა
 სამოსელი, გარდაართხენ ცანი, ვითარცა კარავნი, დართუენ წყ-
 46 ალთა ზედა ზესკნელნი მისნი, რომელმან დასხნა ღრუბელნი
 აღსავალად თუსა და იქცევის იგი ფრთეთა ზედა ქართასა, რომელ-
 48 მან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი –
 ალად ცეცხლისა; რომელმან დაამტკიცა ქუეყანაჲ სამყაროსა
 50 ზედა თუსსა, არა შეიდრას იგი უკუნისამდე; უფსკრულნი ვი-
 თარცა სამოსელნი გარემოდებულ არიან მისა, ზედა მთათა დადგეს
 52 წყალნი, სასტიკებითა შენითა (110rC) ივლტოდიან და კმითა
 ქუხილისა შენისაჲთა შედრწუნდიან, ამაღლდიან – მთა იქმნიან,
 54 დამდაბლდიან – ველ იქმნიან, ადგილსა მას, რომელსაცა დაამტ-
 კიცენ შენ ივინი, საზღვარი დასდევ და არა¹ გარდაჰკდენ, არ-
 56 ცალა მიიქციან დაფარვად ქუეყანისა; (2) სიტყვთა უფლისაჲთა
 ცანი დაემტკიცენ და სულთა პირისა მისისაჲთა – ყოველი
 58 ძალი მათი. შეჰკრებს იგი, ვითარცა თხიერთა, წყალთა ზღვსა-
 თა, დასხამს საუნჯეთა უფსკრულთასა; გეშინოდენ უფლისა ყო-
 60 ველსა ქუეყანასა და მისგან შედრწუნდით ყოველნი დამკვდრე-
 ბულნი სოფლისანი. რამეთუ მან თქუა და იქმნეს, თავადმან
 62 ბრძანა და დაებადნეს; უფალმან განაქარვის ზრახვაჲ წარმართ-
 თაჲ და შეურაცხ-ყვის უფალმან ზრახვაჲ ერისაჲ და შეურაცხ-
 64 ყვნეს უფალმან ზრახვანი მთავართანი, (vC) ხოლო ზრახვაჲ
 უფლისაჲ უკუნიითი-უკუნისამდე ჰვიეს და გულისთქუმაჲ გულისა
 66 მისისაჲ – თესლითი-თესლამდე. (3) განეშორენით და ივლტო-
 დეთ, ყოველნი სულნი ბოროტნი.

1 არაჲ C.

(1) ფს. 103,32; შდრ. 143,5. (2) ფს. 103,2-10. (3) ფს. 32,6-11.

XIII. მესამედ შეჰბეროს და თქუას: რამეთუ არა სიმართლისა და ღირსებისა ჩემისა სასოებითა გაფუცებ შენ, არამედ სახელითა იესუ ქრისტეს ნაზარეველისადათა, რამეთუ თავადი არს ღმერთი მხოლოდ და საშინელი და მისა მოდრკეს ყოველი მუკლი ზეცისათანი და ქუეყანისათანი და ქუესკნელთანი და ყოველმან ენამან აუვაროს მას, რამეთუ უფალი იესუ ქრისტე საღიდებელ არს ღმრთისა მამისა (1) სულით წმიდითურთ, ამენ.

XIV. კუერექსი ნათლისცემისაჲ: რაჟამს მოიყვანენ წმიდასა ნათლისცემასა, პირველად ესე კუერექსი წართქუას:

თაყუანის-ვცეთ; უფლისა მიმართ ვილოცოთ.

და მათუჲს, რომელნი წმიდასა ნათლისღებასა (111rC) განძადებულ არიან ძმანი ჩუენნი, და კაცობრივისაგან – მეორედ შობასა და კსნასა, მათუჲს უფლისა მიმართ ვილოც[ოთ].

რადთა უფალმან ღმერთმან ჩუენმან დაამტკიცნეს ესენი სარწმუნობასა და განაძლიერნეს, უფლისა მიმართ ვილოც[ოთ].

და განანათლნეს უფალმან ნათლითა მეცნიერებისადათა და ჭეშმარიტებისადათა, უფლისა მიმართ ვილოც[ოთ].

რადთა ღირს-ყვნეს ესენი საბანელსა¹ მას მეორედშობისასა და გამოუცხადოს მათ სახარებაჲ ჭეშმარიტებისაჲ, უფლისა მიმართ ვილოც[ოთ].

და კუალად იშვნენ ესენი წყლითა და სულითა წმიდითა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რადთა მოჰმადლოს ამათ სული სარწმუნობისაჲ და შეჰპრთნეს ესენი წმიდასა და გამორჩეულსა მისსა² სამწყსოსა, ოფლისა მიმართ ვილოც[ოთ].

და ღირს ყვნეს ესენი ზეცისა სასუფეველსა მისსა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რადთა მოჰმადლოს ამათ სამოსელი უხრწნელებისაჲ, საცნაურად ჭეშმარიტებისა (vC) მოსატევებელად ცოდვათა, უფლისა მამართ ვილოც[ოთ].

1 საბანელსა] საშინელსა C. 2 მისა C.

(1) ფილ. 2,10-11.

24 და მოსცეს ამათ გონებად ფრთხილი, სარწმუნოებად მტ-
კიცს, რაათა დაიმარხნენ მცნებანი მისნი და სამართალნი, უფ-
26 ლისა მიმარ[თ ვილოცოთ].

რაათა შეაერთნეს ესენი წმიდასა მისსა კათოლიკე ეკლე-
28 სიასა მეუფემან საუკუნემან, [უფლისა მიმართ ვილოცოთ].

და რომელთა მოუდრეკიან მუკლნი მათნი, რაათა აცხოვნ-
30 ნეს და შეიწყალნეს, უფლისა მი[მართ ვილოცოთ].

XV. მღვდელმან ესრე თქუას: შენ, მოწყალეო ღმერთო, რო-
2 მელმან ასწავე კაცთა მეცნიერებად, რომელმან მოუწოდე ცნო-
ბად ჭეშმარიტებისა შენისა, შენ მოჰხედე მონათა შენთა კათა-
4 კუმეველთა, ასწავენ ამათ სიმართლენი შენნი, გულისხმა-უყავ
შიში შენი და ღირს-ყვენ საბანელსა მას მეორედშობისასა და
6 შერთენ ესენი კათოლიკე ეკლესიასა შენსა, რამეთუ ღმერთი
მოწყალე და კაცთმოყუარე ხარ და შენდა დიდებასა შევს-
8 წ(112rC)ირავთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და
მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

XVI. ♀ ლოცვაჲ კათაკუმეველთაჲ: უფალო, რომელთა-ესე
2 მოუწოდე, განწმიდენ, ღირს-ყვენ ჩინებასა შენსა, დაიცვენ ქუეშე
სიყუარულსა შენსა, განამტკიცენ სიწმიდითა შენითა, დაიცვენ
4 ესენი ყოვლისაგან ბოროტისა, დასამტკიცებელად ცხორებასა
ქრისტე იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისა თანა შენდა
6 დიდებაჲ სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-
უკუნისამდე, ამენ.

XVII. და ოდეს ნათელ-სცემდეს, დაადგინნეს კათაკუმეველნი
2 **დასავალით, კელი მარჯუენწ გართხმად სცეს და ათქუმიოს**
ესრწთ: ვიჯმნი შენგან, ეშმაკო, შენგან და საქმეთა შენთაგან და
4 ყოველ[თა] მსახურებათა შენთაგან და ყოველთა (vC) ანგელოზ-
თა შენ[თა]გან და ყოველ[თა] მანქანებათა შენ[თა]გან.

6 **უკუეთუ ჩჩუღი იყოს, მის წილ თქუას, რომელი-იგი მა-**
მად დაუდგებოდის. და კელები მოპყრობად სცეს ყოველთა
8 **და მოიქცენ აღმოსავალად და თქუან:** „შეუდგებით ქრისტესა“,
და ყოველთა ერთობით თქუან წმიდაჲ სარწმუნოებაჲ.

XVIII. დიაკონმან კუერექს ყოს. მღღელმან ლოცვაჲ ესე
წართქუას: მოუწოდე მონათა შენთა, უფალო, წმიდასა ნათლის- 2
 ღებასა შენსა და ღირს-ყვენ ესენი დიდსა მადლსა შენსა, განბანე 4
 ამთვან ბუელი იგი და განაახლენ ესენი განათლებითა შენითა, 4
 აღავსენ ესენი წმიდითა¹ ძალითა სულისა შენისაჲთა და მოი-
 ყვანენ ესენი შეერთებითა ქრისტეს² შენისაჲთა, რომელმან გა- 6
 ნანათლენ დაბადებულნი და განკურნენ შემუხსრვილნი და შეკ-
 კრიბენ (113რტ) განბნეულნი, რამეთუ შენი არს სუფევება, ძალი 8
 და დიდებაჲ, მამისაჲ და ძისაჲ და წმიდისა სულისაჲ, აწ და
 მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. 10

და გამოვიდენ მღღელნი და დიაკონნი და შეიმოსონ სა-
 მოსელი სანათლაჲ და დადგმად სცენ ნელსაცხებელი ბაგესა 12
 ზედა სანათლოჲსასა.

XIX. დიაკონმან კუერექს ყოს: უფლისა მიმართ ვილოცოთ.
 წინამდებარისა ამის ნელსაცხებელისათჳს უფლისა მიმართ 2
 ვილოცოთ.

რაჲთა აკურთხოს, განწმიდოს და აღავსოს ესე ყოვლითა 4
 მადლითა და სულითა წმიდითა, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

რაჲთა გამოაჩინოს ესე განსაწმედელად სულთა და კორც- 6
 თა, ბეჭდად უზაკუველად, უფლისა მიმართ ვილოცოთ.

ყოვლადწმიდაჲ, დიდებული... 8

XX. მღღელმან ესე ლოცვაჲ წართქუას: უფალო ღმერთო
 ყოვლისა მპყრობელო, სასიერო მაცხოვარო, ქველისმოქმედო, 2
 მამაო (vტ) მკსნელისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტეს-
 სო, მხოლოდშობილისა ძისა შენისაო, რომელი კორციელ იქმნა 4
 ჩუენთჳს ნეფსით სათნოებითა შენითა, რაჲთა იქსნას წყევისაგან
 სოფელი, ვხადით დიდსა და ყოვლადძლიერსა სახელსა შენსა 6
 და გევედრებით, გარდამოავლინე ზეცით ამათ ზედა სული წმი-
 დაჲ შენი და აკურთხენ ესენი ყოვლითა კურთხევითა სულიერი- 8
 თა, და ყავ ესე საჭურველ ძლიერების ყოვლისა მიმართ კელ-
 მწიფებისა მტერისა, საკსრად ყოვლისა წინააღმდეგობისა³ ძალი- 10

1 წმიდითა + წმიდით ტ. 2 ქრისტე ტ. 3 წინააღმდეგობისა ტ.

სა, მქსნელად ყოვლისაგან სულისა ბოროტისა, და საცხორე-
 12 ბელად სიწმიდელ, რაათა ექმნეს მონათა შენთა, რომელნი-ესე
 მოვიდეს წმიდასა ამას საბანელსა, ძლიერება¹ ცხორების, დასა-
 14 მტკიცებულად (114rC) ღმრთისმსახურებისა, სიმტკიცს სარწმუ-
 ნობისაჲ, სასოებად² შეუძრველად სასუფეველსა ქრისტეს³
 16 შენისასა, რომლისა თანა შენდა დიდებაჲ სულით წმიდითურთ,
 აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ.

XXI. დიაკონმან კუერექს-ყოს წყალსა ზედა ესრეთ:⁴

2 უფლისა მიმართ ვილოცოთ.
 რაათა განწმიდნეს წინამდგომარენი⁵ ესე წყალნი მოქმედე-
 4 ბითა,⁶ დანერგვითა და მადლითა სულისა წმიდისაჲთა, უფლისა
 მ[იმართ ვილოცოთ].
 6 რაათა მიიღონ ამათ კურთხევაჲ იგი იორდანისაჲ, უფლისა
 მიმართ ვილოცოთ.
 8 რაათა იყვნენ ესენი საკურნებულად სულთა და კორცთა,
 უფლისა მიმართ [ვილოცოთ].
 10 რაათა გამოჩნდეს ამათ მიერ განბანილნი ძედ ნათლისად
 ჭეშმარიტისა, უფლისა [მიმართ ვილოცოთ].
 12 გუაცხოვნენ, შეგუწყალენ, დაგუცვენ, ღმერთო, შენ[ითა მად-
 ლითა].
 14 ყოვლადწმიდაჲ...

XXII. მღვდელმან ესე ლოცვაჲ წართქუას:

2 ღმერთო მოწყალეო და შემწყნარებელო, რომელი გ(vC)ანი-
 კითხავ გულთა⁷ და თირკუმელთა, (1) და იცნი დაფარულნი კაც-
 4 თანი, რამეთუ არარაჲ არს დაფარულ წინაშე შენსა, უფალო,
 არამედ ყოველნი შიშუელ და ქედადრეკილ არიან წინაშე შენ-
 6 სა, (2) რომელმან უწყნი ჩემნიცა, ნუ შეურაცხ-მყოფ მე და ნუ
 გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან, არამედ აკოცენ ცოდვანი ჩემ-
 8 ნი, რომელმან უგულუბელს-ჰყვნი ცოდვანი კაცთანი, და მომა-

1 ძრეილება ო. 2 სასოებაჲ (?) ო. 3 ქრისტე ო. 4 ესრეთ ო. 5
 წინამდგომარენი ო. 6 მოქმედებით ო. 7 გულსა ო.

(1) ფს, 7,10. (2) ებრ. 4,13.

ქციე მეცა სინანულად და განმზანე მწიკულევანებაჲ კორცთა ჩემთაჲ და შეგინებაჲ სულისაჲ და ყოველი გუამი ჩემი განწმიდე 10
 ყოვლითურთ წმიდითა ძლიერებითა¹ სიტყჳს[საჲ]თა² და სულიერითა მარჯუენითა შენითა, ნუუკუე სხუათა აზნაურებასა უქა- 12
 დაგებ და მივსცემ კაცთმოყუარებითა შენითა, და მე მონა ცოდვის გამოუცდელ ვიპოო, (1) გამოხატე (115rC) ქრისტე შენი 14
 ასოთა ამათთა, (2) რომელ-ესე განახლდებიან, ჩემ მიერ, და აღა- 16
 შენენ³ ესენი საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინა- 16
 სწარმეტყუელთასა, (3) და ნუ დაჰკნისი, არამედ დაჰნერგენ ესენი 18
 ნერგად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შენსა და ნუ აღმოჰფ- 18
 ხური, რადთა წარემატებოდინ ღმრთისმსახურებით და აღი- 20
 დებდენ სახელსა წმიდასა შენსა, რომელი დიდებულ არს ცათა 20
 შინა და ქუეყანასა ზედა.

XXIII. ესთენ ოდენ თქუას ესე ლოცვაჲ, (8rV)* რამეთუ არა არს ჩუეულებაჲ მიცემად დიდებისა.⁴ მერმე ესე ლოცვაჲ 2
წყალთა⁵ ზედა წართქუას: უფალო ღმერთო ყოვლისა მჰყრო- 4
 ბელო, ყოველთა დაბადებულთა შემოქმედო, ხილულთა⁶ და არა- 4
 ხილულთაო, რომელმან შეჰქმენ კაცი, ზღუაჲ⁷ და ყოველივე,⁸
 რაჲ არს მას შინა; (4) რომელმან შეჰკრიბენ წყალნი შესაკრე- 6
 ბელსა ერთსა (5) და დაჰკაშ (vC) უფსკრული და დაჰბეჰდე მას 8
 საშინელითა და დიდებულთა სახელითა შენითა, რომელმან გა- 8
 ნაცხოლენ⁹ წყალნი ზესკნელ-ცათანი; (6) შენ დაამტკიცე ძა- 10
 ლითა შენითა ზღუაჲ; შენ შეჰმუსრენ¹⁰ თავნი ვეშაბთანი წყალთა 10
 შინა;¹¹ შენ საშინელ ხარ, უფალო, და ვინ-მე დაგიდგეს შენ 12
 წინაშე?¹² მოხედენ¹³ დაბადებულთა შენთა წყალსა ამას, და 12
 მოეც ამათ (vV) მაღლი გამოჰსნისაჲ და კურთხევაჲ იორდანისაჲ.

* აქედან იწყება V-ის მეორე ფრაგმენტი (8r-13v).

1 ძრეილებითა C. 2 სიტყუთა C. 3 აღაშწნენ C. 4 დ'ზისაჲ V. 5 ყ'ლთა V. 6 ხილულულთა C, ხილულთაო V. 7 ზღუაჲ V. 8 ყოველი C. 9 განაცხოლენ V] განაძლიერენ C. 10 შეჰმოსრენ V. 11 შინა] ზედა V. 12 წინაშე + და C. 13 მოჰხედენ C.

(1) შდრ. I კორ. 9,27. (2) შდრ. გალატ. 4,19. (3) ეფეს. 2,20. (4) ფს. 145,6. (5) დაბ. 1,9; (6) ფს. 148,4.

14 **შეპბეროს წყალსა მას¹ და თქუას ესრეთ:**² ივლტოდეთ
 ამისგან ყოველნი მზკუვარნი³ დაბადებულთანი, რამეთუ სახელსა
 16 შენსა, უფალო,⁴ ვხადით საკურველსა⁵ და დიდებულსა, რომელი
 საშინელ არს მტერთა მიმართ.

18 **შთაპბეროს წყალსა სამჯერ, და⁶ დასწეროს ჯუარი ემ-**
ბაზსა⁷ მას სამჯერ და თქუას ესრეთ:⁸ (116rC) შეიძუსრნედ
 20 ნიშითა და სასწაულითა ჯუარისა⁹ შენისადათა ყოველნი ძალნი
 მკდომისანი; განგუემორენინ¹⁰ ჩუენგან უხილაენი და უჩინონი¹¹
 22 ეშმაკენი; ნუ დაიძალვინ¹² წყალსა ამას შინა ეშმაკი ბნელისაჲ,
 ნუცა შთაპყვებინ¹³ ნათლისმღებელსა ამას¹⁴ სული ბოროტი,
 24 დამაბნელებელი¹⁵ გულისსიტყუათაჲ და¹⁶ აღმაშფოთებელი გონე-
 ბისაჲ, არამედ შენ, უფალო ყოველთაო, (9rV) გამოაჩინე წყალი
 26 ესე წყლად განსასუენებელად, წყლად სიწმიდისად და განწმე-
 დისად¹⁷ და განმათავისუფლებელად კორცთა და სულისა, განკს-
 28 ნად კრულებასა, მოსატევებელად ცოდვათა, განმანათლებელად
 სულთა, რამეთუ სთქუ, უფალო: განიბანენით, განიწმიდენით,
 30 განიშორეთ უკეთურებაჲ¹⁸ სულთაგან თქუენთა, (1) რომელმან
 მოგუანიჭე¹⁹ შობაჲ წყლითა (vC) და²⁰ სულითა. გამოჩნდი,²¹
 32 უფალო, წყალთა ამათ ზედა და გარდაცვალენ²² ესენი, რომელ-
 ნი-ესე ნათელს-იღებენ ამას შინა, რაჲთა განიძარცონ ძუელი²³
 34 იგი კაცი განხრწნადი²⁴ გულისთქუმათაებრ საცთურისათა, და
 შეიმოსონ²⁵ ახალი ესე განმაახლებელი²⁶ მსგავსად (vV) ხატისა
 36 შენისა, (2) რომელმან²⁷ დაჰბადენ ყოველნი, რაჲთა, რომელნი-
 ესე თანანერგ-ექმნეს²⁸ სახესა²⁹ სიკუდილისა²⁰ ქრისტეს³¹ შენი-

1 ამას ვ. 2 ესრეთ ცვ. 3 მზაკურნი ვ. 4 უფალო – ტ. 5 საკურველსა
 ვ. 6 და – ტ. 7 ენბაზსა ვ. 8 ესრეთ ტ. 9 ჯწრისაჲ ვ. 10 განგუემორენ
 ტ, განგუემორენ ვ. 11 უჩინონი ვ. 12 დაემავლვინ ვ. 13 შთაპყვები ვ. 14
 ამას – ვ. 15 დამაბნელი ტ. 16 და – ტ. 17 და განწმედისად – ტ. 18 უკუე-
 თურებაჲ ვ. 19 მოგანიჭე ვ + ჩუენ ვ. 20 და – ვ. 21 გამოჩნდი ვ. 22 გარ-
 დაჰცვალენ ვ. 23 ძული ვ. 24 განკრწნადი ვ. 25 შეიმოსოს ვ. 26 გან-
 მაახლებელი + თა ვ. 27 რომელ – ცვ. 28 თანანერგ-ექმნეს – ტ, თანა-
 ნერგ-ექმნეს – ვ. 29 სახელსა ცვ. 30 სიკუდილისა – ტ. 31 ქრისტე ცვ.

(1) ეს. 1,16. (2) შდრ. ეფეს. 4, 22-24; კოლ. 3,9-10.

სასა ნათლისღებითა, ზიარ-იქმნენ ადგომასაცა,¹ (1) და დაიმარ- 38
 ხონ ნიჭი ესე სულისა წმიდისაჲ,² და³ აღორძნდენ თანანადე- 40
 ბითა მადლისაჲთა და მოიღონ⁴ გვრგვინი ზეცისა ჩინებისაჲ, (2)
 თანა-შეერთნენ პირშობთა თანა, რომელნი აღწერილ არიან [ცა- 42
 თა შინა]⁴ (3) ქრისტე⁴ იესუჲს⁵ მიერ, უფლისა ჩუენისა, რომ- 42
 ლისა⁶ თანა შენდა დიდებაჲ [და]⁷ (117rC) სიმტკიცეს სულით
 წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე, ამენ. 44

XXIV. დაისხას⁸ მღვდელმან ნებსა ზედა⁹ მარჯუენესა¹⁰ ნელ- 2
 საცხებელი სამგზის¹¹ ზეთისა¹² და თითნი შეიკრიბნეს და 2
 შთაყოს ემბაზსა კელი¹³ მარჯუენს,¹⁴ (10rL) ჯუარი დასწე- 4
 როს და თქუას ესრეთ:¹⁵ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და 4
 სულისა წმიდისაჲთა, და¹⁶ აიღოს ზეთი იგი ბაგისაგან ემბა- 6
 ზისა¹⁷ და თქუას მღვდელმან:¹⁸ ალელუაჲ,¹⁹ და ერი მიმოუგ- 6
 დებდეს,²⁰ და მუკლი დასდვას: კმაჲ უფლისაჲ წყალ- 8
 თა ზედა, და მეორედ თქუას მღვდელმან დიდებაჲ, და²¹ 8
 მაშინ მოიღოს მღვდელმან ჭურჭელი, რომელსა²² შინა²³ ღგეს 10
 ზეთი იგი, და შთასხას²⁴ წყალსა მას²⁵ ჯუარისსახედ. იტყო- 10
 დის²⁶ ესრეთ:²⁷ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა 12
 წმიდისაჲთა.

XXV. ამისა შემდგომად განძარცუნენ კათაკმეველნი (vC) 2
 სცხონ ზეთი ღიაკონთა და იტყოდიან ესრეთ:²⁸ ეცხებიის 2
 (სახელით უწოდონ,²⁹ რაჲცა იყოს) სახელითა მამისაჲთა და 4
 ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა, და შთაავლინოს ემბაზსა³⁰ 4
 და ნათელ-სცეს³¹ თავჩაყოფით სამგზის და იტყოდიან (vL)

1 sic. 2 წღისა C, წღსა L. 3 და - C. 4 ცათა შინა - C. 4
 მიიღონ L. 4 ქწს L. 5 იწს L. 6 რწლსა L. 7 და - C. 8 დაასხას L.
 9 ზედა - L. 10 მარ-ჯუენასა L. 11 ნელსაცხებელი სამგზის C] საცხებლისა
 მისგან (მის, გინა?) L. 12 ზეთსა - C. 13 ~ კელი ენბასა L. 14 მარჯუენაჲ
 L. 15 ესრეთ C. 16 და - L. 17 ენბაზისა L. 18 მღწნ L. 19 აღწ L. 20
 მი[მ]უკლებდეს L, მიუგებდეს C. 21 და - L. 22 რწლისა C. 23 შიდა L. 24
 შთასხას L. 25 ამას L. 26 იტყწდს L. 27 ესრეთ C. 28 ესრეთ + ესრეთ (!)
 C. 29 უწოდონ L. 30 ენბაზსა L. 31 ნათელ-სცენ C, ნათელ-ჰსცეს L.

(1) შდრ. რომ. 6,5. (2) შდრ. ფილიპ. 3,14. (3) შდრ. ებრ. 12,23.

6 **ესრეთ:**¹ ნათელ-იღებს სახელითა² მამისადათა და³ ძისადათა და
 სულისა წმიდისადათა, და **ჯუარი დასწეროს შუბლსა და აღ-**
 8 **მოიყვანოს**⁴ **ემბაზისაგან**⁵ და **განკოცონ ახლითა ტილოთა**
ახალნათელებული იგი და მღდელმან სცხოს ნელსაცხებელი
 10 **წმიდა და იტყოდის**⁶ **ესრეთ:**⁷ ნელსაცხებელ განახ-
 ლებულ⁸ არს სახელი შენი. (1) **სახელ-სდვას**⁹ **კა-**
 12 **თაკუმეველსა მას:**¹⁰ ეცხების სახელითა მამისადათა
 და ძისადათა და სულისა წმიდისადათა. და¹¹ **ესრე-**
 14 **სახედ** (118rC) **სცხოს:**¹² **შუბლსა, თუალთა,**¹³ **ყურთა, ცხურთა,**
ყიასა, ორთავე ფერკთა, ტერფთა,¹⁴ **ორთავე ნებთა კელისა-**
 36 **თა, გულსა, ორთავე კართთა ფერკისათა.**

XXVI. დიაკონმან კუერექს-ყოს.

2 **მღდელმან ლოცვა და ესე**¹⁵ **წართქუას:** ღმერთო სახიერო,¹⁶
 ყოვლისა-მპყრობელო,¹⁷ რომელმან მიეც¹⁸ სანატრელი (11rD) გან-
 4 წმედა და წყლითა ამით¹⁹ და შენ-მიერი სიწმიდს წმიდითა ამით²⁰
 ნელსაცხებელითა²¹ და ერთობა და ქრისტეს²² შენისა და ზიარები-
 6 თა სულისა წმიდისა შენისადათა,²³ დაიცვენ მონანი ესე²⁴
 შენი²⁵ სიწმიდითა, აღაორძინენ ახლად²⁶ ჰასაკად, მამაკაცად
 8 სრულად; დაიფარენ ესენი²⁷ ყოვლისაგან ბოროტისა, დაჰკ-
 სენ²⁸ ყოველი²⁹ შური და ზაკუგა და მკდომისა და მოჰმადლე
 10 ამათ სრული გამოქსნა და შვილება და ღირს ყვენ³⁰ საუ-
 კუნეთა საშუებელთა შენთა,³¹ მადლითა და წყალობითა და³²
 12 კაცთ(vC)მოყვარებითა ქრისტეს³³ შენისადათა, რომლისა³⁴ თა-
 ნა კურთხეულ ხარ³⁵ და დიდებულ³⁶ ყოვლადწმიდით და ცხო-

1 ესრეთ 2. 2 ს'ლითა 4. 3 და + და 4. 4 აღმოიყვანონ 4. 5 ენაზი-
 საგან 4. 6 იტყ'დს 4. 7 ესრეთ 2. 8 განახლებულ 4. 9 ს'ხლ-სდვ'სა 4.
 10 კათაკუმეველთა ამით 4. 11 და - 4. 12 სცხოს 4, ეცხოს 2. 13 თულთა
 4. 14 ტერრფთა 4. 15 ~ ესე ლოცვა და 4. 16 სახიერო - 2. 17 ყ'ლსა-
 მპყრობელო 4. 18 მიეც 4. 19 მით 4. 20 მით 2. 21 ნელსაცხებელითა 2.
 22 ქ'ე 2. 23 ზიარებითა სულისა წმიდისა შენისადათა - 2. 24 ესე (!) 2.
 25 შ'ნი 4. 26 ახლად 2. 27 ესე 2. 28 დაჰკ'ს'ნი 4. 29 ყოველი]ქ'ე 4.
 30 ღირ მყვენ 4. 31 ~ შენთა საშუებელთა 4. 32 და - 2. 33 ქ'ე 2. 34
 რ'ლსა 4. 35 კურთხეულ ხარ]კურთხეული 2. 36 დ'ბა 4.

(1) ქება-ქებათა 1,3.

ელსმყოფელით¹ სულითურთ აწ და მარადის და უკუნითი- 14
უკუნისამდე, ამენ.

XXVII. დიაკონმან თავნი მოუდრიკენს.²

მღვდელმან ლოცვაჲ ესე³ (vღ) წართქუას: უფალო ღმერ- 2
თო წმიდათა შენთაო, ყოველნი გუაკურთხენ, დაგუცვენ,⁴ დაგუ-
ფარენ⁵ ქუეშე ფრთეთა⁶ მხოლოდშობილისა ძისა შენისამთა, 4
უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემსითა,⁷ რამეთუ შენ ხარ ღმერთი
ჩუენი, ღმერთი მოწყალს და კაცთმოყუარს, და შენდა დიდებასა 6
შევსწირავთ, მამისა და ძისა და⁸ სულისა წმიდისა⁹ აწ და
მარადის და უკუნითი-უკუნისამდე,¹⁰ ამენ. 8

XXVIII. აინთენ კერიონნი და შევიდენ ეკლესიად და 2
იტყოდინ ამას: რომელთა-ეგე¹¹ ქრისტესს მიერ¹² ნათელ-გილე-
ბიეს... (1) და საკურთხეველსა შეამთხუნენ.¹³

XXIX. დღესა მერვესა შემდგომად ზიარებისა წარმოა- 2
დგინენს¹⁴ მონათლენი წინაშე საკურთხეველსა.¹⁵ (119rღ)

დიაკონმან კუერექს ყოს.

მღვდელმან ესე ლოცვაჲ წართქუას: უფალო ყოვლადწმი- 4
დაო ღმერთო ყოვლისა-მპყრობელო,¹⁶ რომელმან მოჰმადლე მო-
ნათა შენთა და მკევალთა შენთა განწმედაჲ და სიწმიდს¹⁷ ცხო- 6
ველსმყოფელითა¹⁸ (12rღ) და მარადის საჩინოთა ნათლისღები-
თა. და შეაერთენ¹⁹ ესენი წმიდასა შენსა კათოლიკე ეკლესიასა 8
სამოციქულოსა და ღირს ყვენ მიღებად²⁰ პატიოსნისა კორცისა
და სისხლისა შენისა.²¹ დაიცვენ ესენი საფარველსა ფრთეთა 10
შენთასა, განამტკიცენ ესენი ძალითა შენითა, წარუბელუ ჭეშმა-

1 და ცხოელსმყოფელით – ტ. 2 მუდრიკენს ღ. 3 ~ ესე ლოცვაჲ ღ. 4 დაგიცვენ ღ. 5 დაგუფარენ ღ. 6 ფრთეთა] ფერკთა ღ + შენთა ღ. 7 ქწსთა ღ. 8 შენდა დიდებასა შევსწირავთ, მამისა და ძისა და – ტ. 9 სულსა წმიდასა ტ. 10 ოკთი-უკე ღ. 11 რწლთა-ეგე ღ. 12 მიე ღ. 13 შეამთხუნენ ტ. 14 წარმოდგინენ ღ. 15 საკურთხეველისა ღ. 16 ყლს-მპყრბლო ღ. 17 სიწმიდეს ღ. 18 ცხოელსმყოფელითა ღ. 19 შეეერთენ ღ. 20 მიმღებელად ტ. 21 პატიოსანსა კორცსა და სისხლსა შენსა ტ.

(1) გალატ. 3,27.

12 რიტებასა შენსა, დაამტკიცენ ესენი სარწმუნობასა შენსა, და-
 იცვენ ამათი¹ ცხორებად, განამტკიცენ² ამათნი სლვანი, მოჰმად-
 14 ლენ³ ამათ საცხორებელად თხოვანი, შეზღუდენ ესენი (vC) ყოვე-
 ლისაგან წინააღმდეგობისა⁴ განზრახვათა, რათა ყოველსა შინა
 16 სათნოდ შენდა დაადგრენ⁵ და მიემთხვნენ ზეცისასაცა შენსა სა-
 სუფეველსა და სანატრელისა კმისა შენისა (vL) ისმინონ: მოვე-
 18 დით, კურთხეულნო მამისა⁶ ჩემისანო,⁷ და დაიმკუდრეთ განმზა-
 დებული თქუენთს სასუფეველი სოფლისდაბადების წინა,⁸ (1)
 20 რამეთუ კურთხეულ არს და⁹ წმიდა და დიდებულ ყოვლადბატი-
 ოსანი და დიდადშუენიერი¹⁰ სახელი მამისა და ძისა და სული-
 22 სა წმიდისა¹¹ აწ და მარადის და უკუნიითი-უკუნისამდე,¹² ამენ.

XXX. ლოცვა ბ¹³,¹³ მოღრეკილთა:

2 მოუღრეკიან,¹⁴ უფალო, თავნი მონათა და მკეველთა შენ-
 თანი, რომელნი კუალად იშვნეს ემბაზისაგან¹⁵ წიაღთა საშოღსა¹⁶
 4 შობილნი ბნელთა და სენოანთაგან¹⁷ კორცთა და განაახლენ¹⁸ აწ
 მეორედითა უმაღლესითა¹⁹ შობითა, მაღლითა სამგზის გურგუნო-
 6 (13rL)სნითა²⁰ (120rC) ყოვლადწმიდისა სულისაათა; დაიცვენ
 ესენი, გევედრებით, დაიცვენ²¹ უბიწონი და უგერმონი, შეზღუდ-
 8 ვითა კაცთმოყუარებითა²² შენითა მწირობისა²³ ამის ცხორებისა
 ჭეშმარიტითა სარწმუნობითა და ღირსებისა²⁴ ქცევითა, რათა
 10 ღირს იქმნენ მიმთხუევად დიდებასა შენსა²⁵ კელითა მესამედ
 შობისათა, უხრწნელებისა²⁶ ყუავილითა ადგომისათა²⁷ მიწ-
 12 ევნად ნათელსა სამარადისოსა სოფელსა მას²⁸ ცხოველთასა²⁹

1 ამათ ვ. 2 განუმტკიცენ ტ. 3 მოჰმადლე ვ. 4 წინააღმდეგობისა ტ. 5 დაადგინენ ტ. 6 მამისა ვ. 7 ჩემისანო ტ. 8 წინა ვ. 9 და – ტ. 10 დიდადშუენიერი ვ. 11 მამისა და ძისა და სულისა წმიდისა ტ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ვ. 12 კთი-ოკე ვ. 13 ბ – ვ. 14 მოუღრეკენ ვ. 15 ემბაზისაგან ვ. 16 საშოღსა ვ. 17 სენოანთა ვ. 18 განაახლენ ტ. 19 უმაღლესითა ტ, უმაღლესითა ვ. 20 გურგუნოსანითა ვ. 21 დაიცვენ – ტ. 22 კაცთმოყუარებითა ვ. 23 მწირობისა + შენისა ვ. 24 ღირსებისა + მოყუარებისა [...] ვ. 25 დიდებისა შენისა ტ. 26 უკრწნელებისა ვ. 27 ყუავილითა ადგომისათა ტ. 28 მას – ვ. 29 ცხოველთასა ვ.

(1) მათე 25,34.

ყოველთა თანა წმიდათა, რამეთუ შენდა შუენის¹ დიდება და
 თაყუანისცემა, მამისა და ძისა და წმიდისა² სულისა³ აწ 14
 და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე,⁴ ამენ. (13vღ)

ამისა შემდგომად აიყვანოს⁵ იგი საკურთხეველად და⁶ 16
 კუკული აჰკადოს და შეამთხვოს⁷ წმიდასა საკურთხეველსა
 და მიულოცოს, ვითარ ჯერ-იყოს, და განუტევენს.⁸ 18

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

I. ლოცვაა ახლისა ემბაზისა განწმედასა.

³ რადგანაც აქ ჯვრის დაწერა ჯ უ ა რ ი ს ს ა ხ ე დ (σταν-
 ροειδής) არის მითითებული, ჯ უ ა რ ი ს და წ ე რ ი ს შესა-
 ტყვისად ბერძნულში „დაბეჭდვა“ (σφραγίζω) უნდა ყო-
 ფილიყო.

⁶⁻⁷ აქ ემბაზის პირველსახედ გამოცხადებულია მდინარე
 იორდანე, როგორც „ს ა ბ ა ნ ე ლ ი საღმრთო“. „ს ა ბ ა ნ ე ლ ი“
 ემბაზის შესატყვისად (ასევე „ს ა ნ ა თ ლ ო“, იხ. XVIII,13)
 ძველი ქართული მწერლობის მრავალ ძეგლში გვხვდება. ბერ-
 ძნულად კი **νιπτήρ** ან **χιλαμψήθρα** უნდა ყოფილიყო.⁹

II. ლოცვაა ქრისტიანებისა.

¹ სათაური („ლოცვაა ქრისტიანებისა“), როგორც ზემოთ
 აღვნიშნეთ, მოასწავებს არა ქ რ ი ს ტ ი ა ნ თ ა ლ ო ც ვ ა ს, არა-
 მედ „ქრისტიანობის“ (ძველი ფორმით – „ქრისტიანების“) წო-
 დების მინიჭებისათვის განკუთვნილ რიტუალს. ეს რიტუალი
 გულისხმობდა ქ რ ი ს ტ ე ს ს ა ხ ე ლ ი ს თ ა ყ ვ ა ნ ი ს მ ც ე მ -

1 შუენის **ტ**. 2 წღსა **ღ**. 3 მამისა და ძისა და წმიდისა სულისა **ტ**. 4
 უკ~ი-ოკ ე **ტ**, ოკ~თი-ოკ ე **ღ**. 5 ალიყვანენ **ტ**. 6 და – **ღ**. 7 შეამთხვენეს **ტ**.
 8 გაუტევენს **ტ**. განუტეოს **ღ**.

9 შდრ.: „რაჟამს დიდებულნი მოწაფენი შენნი ს ა ბ ა ნ ე ლ ს ა მ ა ს ს ე რ ო -
 ბისასა განათლდებოდეს...“ **Ὅτε οἱ ἐβδοξοὶ Μαθηταὶ ἐν τῷ νιπτήρι
 τοῦ Δείπνου ἐφωτίζοντο** (პოროლოგიონი 1995: 457). ს ა ბ ა ნ ე ლ ი ს
 სხვა ბერძნული შესატყვისებია: **λουτρόν, λουτήρ, δεξαμενή, κεφ(φ)ουρης,
 πῖθος** (ყაუხჩიშვილი 2007 VII: 48).

ლად (ანუ 'ქრისტიანე'დ) კურთხევას ქრისტეს სარწმუნოების შესწავლისა (ანუ კათაკუმეველობის) და ნათლისღების მსურველთათვის.

„ქრისტიანების“ წესი (ე. ი. 'ქრისტიანე'დ კურთხევის რიტუალი) კათაკუმეველად დადგინებამდე სრულდებოდა.

ქრისტიანებად, როგორც ტერმინი, სავარაუდოდ, **χριστιανισμός**-ის შესატყვისად უნდა თარგმნილიყო, 'ქრისტიანე' კი, რა თქმა უნდა, **χριστιανός**-ს შეესაბამება. ქრისტიანე ფორმა (და არა ქრისტიანი) დაფიქსირებულია III,18-ში (მრავლობითის ფორმა – ქრისტიანენი III,24). ირიბ ბრუნვებში კი ბოლოკიდური ხმოვანი იკვეცება: ქრისტიანისადა („უკუთუ იყოს შვილი ქრისტიანისა...“ VI,2).

² დასაწყისი ფრაზა („რომელი თუთდანერგულ და თუთალორძინებულ...“) ქვემდებარული დამოკიდებული წინადადებაა, რომელიც განმარტავს წარმოსახვით კორელატს – „შენ“, მაგრამ ამ წინადადებას აკლია შემასმენელი, რაც გადაწერის შეცდომით უნდა აიხსნას. თუ დავუშვებთ, რომ დაკლებული შემასმენელია „ხარ“ ან „ჰყავ“ („ჰყოფ“), მათი დამატებით სასურველ შედეგს მაინც ვერ ვიღებთ: (1) თუ დავუმატეთ „ხარ“ ზმნა, მივითებთ: „რომელი ხარ თუთდანერგულ და თუთალორძინებულ, ღმერთო...“. ასეთი ვარიანტი დოგმატურად გამართული არ უნდა იყოს, რადგანაც ქრისტიანული ღმრთისმეტყველებისათვის მიუღებელია ღმრთის დანერგულობისა (ე. ი. წარმოშობილობის) და ალორძინებულობის (ანუ ზრდა-განვითარების) იდეა, თუნდაც იგი თვით მასვე მიეწეროს („თუთდანერგულ“, „თუთალორძინებულ“).¹ (2) „ჰყავ“ ან „ჰყოფ“ ზმნების ჩამატებით „თუთდანერგვა“ და „თუთალორძინება“ ღმრთის რომელიღაც ქმნილებას მიეწერება, მაგრამ ვერც ეს აზრი იქნება შესაწყნარებელი, რად-

1 საღმრთო ბუნების თვისებათაგან უპირველესად მოიხსენიება აუგებელობა, ანუ შეუქმნელობა, დაუბადებლობა, რაც გამორიცხავს დანერგულობას, დაფუძნებულობას, და უქცეველობა ანუ უცვალებლობა, რაც გამორიცხავს ზრდა-განვითარებას (იოანე დამასკელი 2000: 71; ეფთვიმე მთაწმიდელი 2007: 171).

გან ყველა ქმნილება ღმრთის მიერ არის დანერგული და აღორძინებული;¹ „თუთდანერგული“ და „თუთაღორძინებული“ ვერც ისინი იქნებიან. რომელი ზმნა უნდა წერებულები „რომელი“-ს შემდეგ – ძნელი სათქმელია; შესაძლოა, აქ ერთი-ორი სტრიქონიც კი აკლია, და ბუნდოვანება ამითაა გამოწვეული.

შესაძლოა, თუთდანერგულობა და თუთაღორძინებულობა ღმრთის შესახებ ითქვას იმ გაგებით, რომ მისი მადლი და სარწმუნოება თავისთავადაა დანერგილი კაცთა გულებში, იზრდება და წარმატება.² ამ შემთხვევაში ღმერთი „თუთდანერგულიცა“ (αὐτο-πεφτευμένος) და „თუთაღორძინებულიც“ (ἀν-ξανομένος).

ღმრთის დანერგვა რომ კაცთან მიმართებაში ითქმის, ჩანს წყლის კურთხევის ლოცვიდან, რომელშიც იხსენიება სუ-ლიწმიდის დანერგვა, მისი გარდამოსვლის მნიშვნელობით: „შენ უკუე, კაცთმოყუარეო მეუფეო, მოვედ და აწცა დანერგვითა წმიდისა შენისა სულისადათა განწმიდე წყალი ესე“ (ჭელიძე 2002: 102). ბერძნულში დანერგვის შესატყვისად წერია **ἐπιφοίτησις**, რაც მოსვლას, წვევას, გამოსვლას ნიშნავს.³ ქართულად მისი დანერგვად თარგმნა გამოთქმით ურთიერთმსგავსი ორი სიტყვის – **φοιτά**-სა (მოსვლა) და **φτενά**-ს (დარგვა) აღრევის შედეგად უნდა მომხ-

1 პავლე მოციქული წერს: „მე დავასხ, აბოლო მორწყო, ხოლო ღმერთმან აღაღორძინა. აწ უკუე, არცა დამსხმელი რაა არს, არცა მომრწყველი, არამედ აღმაღორძინებელი“ (I კორ. 3,6-7). იოანე დამასკელის შეჯამებით, „ზეშთა-სახიერმან ღმერთმან... არაარსისაგან არსად მოიყვანა და დაჰბადნა ყოველნი უხილავნი და ხილულნი“ (იოანე დამასკელი 2000: 75).

2 პავლე მოციქულის სიტყვით, „სიყუარული ღმრთისადა განფენილ არს გულთა შინა ჩუენთა სულთა წმიდითა, რომელი-იგი მოცემულ არს ჩუენდა“ (რომ. 5,5); „და აღუბეჭდნა ჩუენ და მომცა წინდი იგი სულისადა გულთა შინა ჩუენთა“ (II კორ. 1,22).

3 **Ἀντὸς οὖν, φιλάθρῳπε Βασιλεῦ, πάρεσο καὶ νῦν, διὰ τῆς ἐπιφοιτήσεως τοῦ Ἀγίου σου Πνεύματος, καὶ ἄγριασον τὸ ἔθνος ταῦτο** (ეკქოლოგოინი 1992: 139).

დარიყო (იხ. აგრეთვე XXI,4).

ამრიგად, თუ „ქრისტიანების ლოცვის“ დასაწყის ფრაზაში ღმრთის „თუთდანერგულობასა“ და „თუთაღორძინებულობას“ ვიგულისხმებთ, იგი, ჩვენი აზრით, უნდა შეივსოს შემდეგნაირად: „რომელი თუთდანერგულ და თუთაღორძინებულ [ხარ გულთა შინა ჩუენთა]...“)

4 „აკურთხე ყრმაჲ ესე“ – ეს ფრაზა მიგვითითებს, რომ ლოცვა ერთი ყრმისათვის იკითხებოდა; რაც ადასტურებს ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს, რომ „ქრისტიანელ“ შერაცხვა ყრმებისა ხდებოდა სათითაოდ, ჟამითი-ჟამად, მთელი წლის განმავლობაში; დიდი მარხვის დაწყებისას კი ყველა მათგანს შეკრებდნენ და კათაკუმბეველად დაადგინებდნენ (V,3-4; VIII, 1; X,1). „ქრისტიანების“ ლოცვა რომ სათითაოდ იკითხებოდა ყრმებისათვის, ლოცვის შემდგომი ნაწილიდანაც ჩანს: „ყავ ესე ცხოვრად აღნიშნულად“ II,6; „გაპოხე ზეთითა თავი ამისი წმიდითა შენითა ნელსაცხებელითა“ II,9-10; „ყოველი ცხოვრება ამისი დაიცევ კელსა ქუეშე შენსა“ II,11-12 და ა. შ.

10-11 „შესადრწუნებელ საიდუმლოდ“ (φρικτὸν μυστήριον) აქ იგულისხმება წმ. ზიარება – ხორცი და სისხლი იესუ ქრისტესი, რომლის ჭამა და სმა უბრძანა მან თავის მოწაფეებს,¹ ხოლო ტაბლა – წმ. ტრაპეზია (τράπεζα), რომელზედაც შეიწირება უსისხლო მსხვერპლი.

III. ლოცვაჲ ქრისტიანებისაჲვე.

5-6 „შენ ხარ ჭეშმარიტებისაჲ ყოველთა ზედა დაბადებულთა“ აქ გამოტოვებულია სიტყვა, რომლის განსამარტავადაც დაუწერიათ „ჭეშმარიტებისაჲ“. შესაძლოა, გამოტოვებულია სიტყვა „ნათელი“ („შენ ხარ ნათელი ჭეშმარიტებისაჲ...“).

6-8 „არავინ არს სხუაჲ შენსა გარეშე უფალი და რომელეგე მოავლინე – ღმერთი ჩუენი იესუ ქრისტე“ – აქ, თავდა-

1 მათე 26,26-29; მარკ. 14,22-25; ლუკა 22,19-20; I კორ. 11,23-26; იოანე 6,48-56.

პირველ ვარიანტში, ვფიქრობთ, ურთიერთშენაცვლებული უნდა ყოფილიყო „უფალი“ და „ღმერთი“: „არავინ არს სხუამ შენსა გარეშე ღმერთი, და რომელ-ეგე მოავლინე – უფალი ჩუენი იესუ ქრისტე“.

9-10 „შევედრა (ანუ ჩაჰბარდა, მიებარა, მიენდო) სახელსა შენსა“ – უნდა ნიშნავდეს: შენი სახელი მიიღო, „ქრისტე იანედ“ იწოდება.

11-12 „განჰკენ სარწმუნობამ შენი ჭეშმარიტი გულსა ამისსა“ – აქ, ვფიქრობ, „განჰკენის“ ნაცვლად „განფენა“ უნდა ყოფილიყო („განჰფინე სარწმუნობამ შენი ჭეშმარიტი გულსა ამისსა“), რადგანაც „სარწმუნოების განჰსნა“ ბუნდოვანი გამოთქმაა.

18 „სიმართლეთა მადლისა შენისადათა“ – „მადლის სიმართლეს“ ბუნდოვანი გამოთქმაა; ალბათ უნდა ყოფილიყო: „სიმრავლეთა მადლისა შენისადათა“. გრაფიკული მსგავსების გამო ამ სიტყვების აღრევა მოულოდნელი არ არის.

20-21 „რადათა შენ მხოლოდსა მიმართ უფლისა, კელთა ქრისტესითა (?) იყოს თაყუანისმცემელ“ – რას ნიშნავს „ქრისტეს ხელით“ თაყუანისცემა? – აქაც უთუოდ რაღაც ცდომილებაა; შესაძლოა, „ქრისტეს სახელი“ იგულისხმებოდეს.

27 „და შენდა დიდებამ“ – თავდაპირველი ვარიანტი უნდა ყოფილიყო: „და შენდა დიდებასა შესწირვიდეს, ძისა შენისა თანა სულით წმიდითურთ...“ (რადგანაც ლოცვა მამა ღმერთისადმია).

IV. ლოცვამ ნათლისმღებელთა ზედა.

3-4 „განანათლენ ნათლითა მაგით მეცნიერებისადათა“ – ხელნაწერში არასრულად წერია ამ ფრაზის პირველი სიტყვა („განა“); აღვადგინეთ კონტექსტის მიხედვით.

4-5 „რომელსა კუალს ღებიან სიტყუასა კრძალულებისასა“ – ამ ფრაზის ბუნდოვანება სინ. № 12-ის დედნის (ან უფრო ადრინდელი ნუსხის) დაზიანებით უნდა აიხსნას. ამ ადგილას თავდაპირველ ტექსტში, შესაძლოა, რამდენიმე სტრიქონიც კი ემატებოდა.

6-7 ერთი ფრაზის მიხედვით („მადლითა და კაცთმოყუარებითა ქრისტეს შენისათა...“), ლოცვა მამა ღმერთისადმი ყოფილა მიმართული, დაბოლოება კი წმ. სამების დიდებისმეტყველებას წარმოადგენს (მისდამი მიმართვით), ე. ი. ლოცვის ცალკეული ნაწილები ერთმანეთს არ ეთანხმება, რაც გვიანდელი ცდომილების შედეგი უნდა იყოს.

V. ლოცვა კათაკუმეველთა ზედა.

9-10 „დიდებითა სახარებისა ქრისტეს შენისათა“ – აქ ტექსტს რაღაც უნდა აკლდეს („დიდებითა“ უადგილოდ გამოიყურება კონტექსტში). სამწუხაროდ, დამატებითი წყარო ამ ადგილის შესწორებისათვის ჯერჯერობით არ გაგვანჩია,

10-11 „რათა იგინიცა თანა-შეერთნენ წმიდასა სამწყისოსა შენსა“ – აქ იგულისხმება ქრისტეს ეკლესია, ქრისტე კი მწყემსია (იოანე 10,11). ამ ფრაზის მიხედვით ლოცვა თითქოს ქრისტე ღმერთისადმი მიმართული გამოდის, მაგრამ სხვაგან მლოცველი მამა ღმერთს მიმართავს, რამდენადაც მოიხსენიებს მის მხოლოდშობილ ძეს, იესუ ქრისტეს (V,5-6), ლოცვის დაბოლოება კი წმიდა სამებისადმი დიდებისმეტყველებით მიმართვას წარმოადგენს, რითაც იგი არ ეთანხმება ლოცვის დანარჩენ ნაწილებს. ეს შეუთანხმებლობა გვიჩვენებს, რომ ტექსტი ძალზე შერყვნილია გვიანდელ გადამწერთა მიერ.

VI. [კათაკუმეველად შერაცხვა].

3-8 მწუსი – მოზრდილი. განმწუსება „აღორძინების“ (გაზრდის) სინონიმად გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში. მაგალითად: „განმწუსნა ყრმაჲ“ (მსაჯულთა 13,25; გელათის ბიბლია) // „აღორძინდა ყრმაჲ იგი“ (მცხეთური ხელნაწერი 1981: 493) (აბულაძე 1973: 64). ბერძნულადაა: **η ἰξήθη τὸ παιδίον**. სხვა მაგალითი: „სარწმუნოებით მოსე, განრაჲ-მწუსნა...“ (ებრ. 11,24). ბერძნულადაა: **Πιστεὶ Μωϋσῆς μὲ γὰρ γένετο...** (=დიდი შეიქნა რა, წამოიზარდა რა).

10 ცერი – ეწოდება ხელის დიდ თითს, რომელიც სხვა თითების პარალელური კი არაა, არამედ ცერად (გვერდულად) მიდის, ანუ რაღაც კუთხეს ქმნის მათთან. ბერძნულად მისი

შესატყვისია **ἀντίχειρ** (გენ. **ἀντίχειρος**).

22 „მიცემა ღიღებისა“ – იგულისხმება ლოცვის ბოლოში ღიღებისმეტყველებითი ფორმულის წარმოთქმა მამის, ძის ან წმიდა სამების მიმართ, რასაც საღმრთო მსახურებაში ასამაღლებელი (ან ასამაღლებად) ეწოდება. ლოცვა, რომელსაც ეს შენიშვნა მოსდევს, ასამაღლებლის გარეშეა. ეს კი განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ყველა ლოცვას თავისი ასამაღლებელი აქვს. ამიტომაც წეს-განგების შემდგენელსა თუ რედაქტორს დაურთავს განმარტება, რომ კათაკმეველთა ამ ლოცვას ასამაღლებელი არ ერთვის (იხ. აგრეთვე XXIII,2).

VIII. [ლოცვაა შემდგომად ჯუარისდაწერისა].

2 „მაცხოვარება“ – ვფიქრობთ, თავდაპირველ ვარიანტში უნდა ყოფილიყო „მაცხოვარი კაცთა“.

4-7 „მკლომი“ – ნიშნავს „მოწინააღმდეგეს“, ბერძნული შესატყვისია **ἐναντίος**, ებრაული – **יָמִי** (სატან).

IX. [ლოცვაა ფუცებისაა პირველი].

1 „ფერქთა დაწყობა“ გამართულ დგომას უნდა ნიშნავდეს. ასევე, „შეწყობით“ ხელთა შე-აპყრობა (IX,2-3) – მათს ურთიერთპარალელურად, სწორად აღმართვას.

16 „ესთენოდენ“ – მხოლოდ ეს.

18-19 „რამეთუ არა სიმართლისა და ღირსებისა ჩემისა სასოებითა გაფუცებ შენ...“ (ეს ტექსტი სრულად იხ.: XIII, 1-7).

X. [ლოცვაა ფუცებისაა მრავალთა ყრმათათვის].

9 „განბოკლებული“ – კეთროვანი. ეს ტერმინი გვხვდება ქართული სახარების ძველ (ათონამდელ) თარგმანში, რომელიც 897 წლის ხელნაწერით – ადიშის ოთხთავითაა ჩვენამდე მოღწეული.¹ სახარების სხვა ძველ რედაქციებში განბოკლებულს „კეთროვანი“ და „განკეთრებული“ ენაცვლება (აბულაძე

1 „განბოკლებული“ გვხვდება ადიშის ოთხთავის შემდეგ მუხლებში: მათე 8,2; 11,5; 26,6; მარკ. 1,40; 1,42; 14,3; ლუკა 17,12 (ადიშის ოთხთავი 2003: 161, 170, 218, 233, 134, 273, 344). ზოგჯერ ადიშურ ხელნაწერში „კეთროვანი“ და „კეთროვანებაც“ გვხვდება.

1973: 51; იმნაიშვილი 1986: 269-270).

¹⁰ „წიღოვანი“ – სისხლმდინარე (γυνη ουσια ἐν ῥνσει αἵματος – მარკ. 5,25).

XI. [ლოცვა ფუცებისა მორე].

³ ჯ მ ნ ა (ἀποτάσσομαι) – გამიჯვნა (ვიჯ მნი – ვემიჯნები, უარყოფ ერთობას ვისთანმე).

⁶ „ახლისპიროვანი“ – მთვარეული (σεληνιαζόμενος). ეს ტერმინი ერთგან გვხვდება ადიშის სახარებაში (მათე 17,15) (ადიშის სახარება 2003: 191), ჯრუჭ-პარხლის ხელნაწერებში კი (სხვა ადგილას, მათე 4,24) – „ახლისპირით გუემული“ (იმნაიშვილი 1986: 59, 718). სახარების გვიანდელ (X-XI სს.) თარგმანებში ამათ შესატყვისად ყველგან „ცისად-ცისად გუემული“ წერია (იმნაიშვილი 1979: 268, 816), რომელიც ძველ თარგმანებშიც გვხვდებოდა (იმნაიშვილი 1986: 718).¹

¹⁹ წინა-უკუანა დღენი – კათაკმეველობის პერიოდის ბოლო (უშუალოდ ნათლისღების წინა) დღეები. ამ დღეებში წარმოითქმოდა ფუცების ლოცვები („წინა-უკუანა დღეთა სთქუა ფიცებად ესე“).

²⁰⁻²¹ „რამეთუ არა სიმართლისა და ღირსებისა ჩემისა სასობითა გაფუცებ შენ... (ეს ტექსტი სრულად იხ.: XIII, 1-7).

XIII. [ლოცვა ფუცებისა, აღსრულებისა].

⁵ „კაცობრივისაგან“ – იგულისხმება კაცობრივი (ხორციელი) შობა.

XIV. კუერექსი ნათლისცემისა.

¹¹ საბანელი – იხ. I,7; საბანელი მორედშობისა – λουτρον παλιγγενεσις. იხ. აგრეთვე XV,5.

XVI. [ლოცვა 9 კათაკუმეველთა].

² „ჩინებად“ – მოწოდება, მოხმობა (κλησις, εως η);

¹ მთვარეული (σεληνιαζόμενος), რაც სულიერი დაავადებით შეპყრობილს ნიშნავს, ახლისპიროვანად უთარგმნიათ, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ მთვარის ყოველი ახალი თვის დასაწყისი (ძველქართულად – „პირი“) ანუ ახალმთვარეობა სულიერ სწეულებათა გამმაფრებით აღინიშნება.

გადატანითი მნიშვნელობით – დანიშნულება, მისია. (შდრ. I კორ. 7,20; ეფეს. 1,18; 4,1; 4,4; ფილიპ. 3,14; I კორ. 1,26; II თეს. 1,11; ებრ. 3,1; II ტიმ. 1,9). ჩინებულნი – მოწოდებული (**κλητός**) (იხ. რომ. 1,1; 1,6-7; 8,28; I კორ. 1,1-2; 1,24; გალატ. 5,13; კოლ. 3,15; ებრ. 9,15).

XVII. [წესი ჯმნისა და შედგომისაჲ].

⁶⁻⁷ „რომელი-იგი მამად დაუდგებოდის“ – იგულისხმება ნათლის მამა (**ἀνάδοχος**).

⁷ „ქელები მოჰყრობად სცეს ყოველთა“ – იგულისხმება: „მღელმან“.

⁹ წმიდაჲ სარწმუნოებაჲ – ესაა სარწმუნოების დოგმატის მოკლე გადმოცემა, აღსარება (ანუ აღიარება, საჯაროდ გამოცხადება) სარწმუნოებისა, ე. წ. სიმბოლო სარწმუნოებისა, ანუ, „მრწამსი“ (ასე შეერქვა დასაწყისი სიტყვის მიხედვით). სარწმუნოებრივი აღმსარებლობის განცხადება „სარწმუნოებად“ მოიხსენიება მრავალგან. მაგალითად, მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მას პატრიარქის წინაშე წარმოუთქვამს თავისი სარწმუნოება (ცხორებაჲ მაქსიმესი 1918: 87-90). იმავე თხზულებაში მოყვანილია ნიკეა-კონსტანტინეპოლის სიმბოლოს ტექსტიც, როგორც „სარწმუნოებაჲ პირველთა მათ წმიდათა კრებათა მიერ განწესებული“ (იქვე, გვ. 98). სარწმუნოება, მრწამსის მოკლე ფორმულირების შესატყვისად, გვხვდება გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაშიც. აქ აღწერილია გიორგის საუბარი ანტიოქიის პატრიარქთან, რომლის წინაშეც მას წარმოუთქვამს მართალი სარწმუნოება (ცხორებაჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ 1967: 151).

XVIII. [კუერექსი და ლოცვაჲ, და შემოსაჲ სანათლავისა სამოსისაჲ].

⁴ „ძუელი იგი“ – აქ უნდა ყოფილიყო „ძუელი იგი კაცი“ (**ὁ παλαιὸς ἡμῶν ἄθρῳπος**), რომელიც ნათლისღების საკითხავშია ნახსენები (რომ. 6,6; იხ. აგრეთვე ეფეს. 4,22; კოლ. 3,9)

¹² ნელსაცხებელი – **μύρον** (იხ. მათე 26,7; 26,12; მარკ. 14,3-4; 14,8; ლუკა 7,37-38; 7,46; 23,56; იოანე 11,2;

12,3; 12,5).

¹³ „ბაგე“ – კიდე, ნაპირი. ბერძნულად უნდა ყოფილიყო **χείλος**, რომელსაც „ბაგის“ მნიშვნელობაც აქვს და „კილისა“ და „ნაპირისაც“. იხ. აგრეთვე XXIV,5.

² „სანათლო“ – ემბაზი, „საბანელი“ (იხ. I,7; XIV, 11; XV,5), **βαπτιστήριον**.

XX. [ლოცვაა წმიდასა საბანელსა და ნელსაცხებელსა ზედა].

⁵ „სათნოებითა შენითა“ – იგულისხმება: სათნოყოფითა (**εὐαρίστησις, εὐδοχία**).

¹¹⁻¹² „საცხორებელი სიწმიდე“ – **σωτήριος ἄγιασμας**.

XXI. [კურეექსი წმიდასა საბანელსა ზედა].

⁴ „დანერგვითა... სულისა წმიდისადათა“ – **διὰ τῆς ἐπιφοιτήσεως τοῦ Ἀγίου Πνεύματος**. „დანერგვის“ შესახებ იხ. შენიშვნა II,2.

⁶ „მიიღონ ამათ კურთხევაჲ იგი იორდანისაჲ“ – „ამათში“ იგულისხმება წყალნი (**τὰ ὕδατα**), რომელიც მრავლობითის ფორმით ითქმის ბიბლიური ტრადიციით (ებრაულში „წყალს“ მხოლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნია, არამედ მხოლოდ მრავლობითი – **מים**).

² „რაჲთა იყვნენ ესენი საკურნებელად სულთა და კორცთა“ – აქაც წყალნი იგულისხმება.

¹⁰⁻¹¹ „რაჲთა გამოჩნდეს ამათ მიერ განბანილნი ძედ ნათლისად ჭეშმარიტისა“. ნათელი ჭეშმარიტი, ბიბლიური ღმრთისმეტყველებით, არის ღმერთი (იოანე 1,9; იაკ. 1,17; I იოანე 1,5), „რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად“ (იოანე 1,9), ხოლო ძენი ნათლისანი არიან მისი მორწმუნენი (იოანე 12,36).

XXII. [ლოცვაა ნათლისმღებელთა ზედა].

²⁻⁴ „ღმერთო მოწყალეო და შემწყნარებელო, რომელი განიკითხავ გულთა და თირკუმელთა, და იცნი დაფარულნი კაცთანი...“ – შდრ.: **Ὁ εὐσπλαγχνος καὶ ἐλεήμων Θεός, ὁ ἐτάζων καρδίας καὶ νεφρούς, καὶ τὰ κρῦφια τῶν ἀνθρώπων**

ἐπιστάμενος... (**Εὐχολόγιον τὸ μέγα** 1992: 137). როგორც ვხედავთ, „შემწყნარებელი“ შესატყვისი ბერძნულში არ ჩანს. კონტექსტითაც გაუგებარია, ვისი ან რისი შემწყნარებელი იგულისხმება. ვფიქრობთ, აქ თავდაპირველად „შემწყალე ბელი“ (ანუ შემბრალებელი) უნდა ყოფილიყო, რაც ზედმიწევნით შეესატყვისება ბერძნულ **εὐπλαγχοῦς**-ს.

⁴ „რამეთუ არ არაა არს დაფარულ წინაშე შენსა“ – **οὐ γάρ ἐστι πρᾶγμα ἄφανές ἔνώπιόν σου** (**Εὐχολόγιον τὸ μέγα** 1992: 137). გიორგი მთაწმიდელის რედაქციაში ზედმიწევნითობის მცდელობა გვაქვს: „რამეთუ არა არს დაფარულ წინაშე შენსა საქმე“ (დიდნი კურთხევანი 2002: 100), ძველი თარგმანი კი („არ არაა არს დაფარულ“) შინაარსობრივად უფრო ნათელია.

⁵ „ყოველნი შიშუელ და ქედდადრეკილ არიან წინაშე შენსა“ – ფრაზა ციტირებულია ებრაელთა მიმართ ეპისტოლიდან: **πάντα δὲ γυμνά καὶ τετραχηλισμένα τοῖς ὀφθαλμοῖς αὐτοῦ** (ებრ. 4,13). ამ კონტექსტში ზმნა **τραχηλίζω** „გამოჩენას“, „გამოაშკარავებს“, „გამომჟღავნებს“, „განცხადებს“ ნიშნავს (დვორეცკი 1958: 1640), **τετραχηλισμένος** კი – „გამოაშკარავებულს“. ეს რომ ასეა, ადასტურებს წინა ფრაზაც („იცნი დაფარულნი კაცთანი, რამეთუ არ არაა არს დაფარულ წინაშე შენსა, უფალო,“) და მომდევნოც („რომელმან უწყნი ჩემნიცა [დაფარულნი]“). ქვეტექსტი ასეთია: ღმერთმა იცის ყოველივე დაფარული საქმე კაცისა (იგულისხმება: სამარცხვინო საქმეები), რასაც იგი არავის უმჟღავნებს, მაგრამ ღმერთს ვერ დაემალება, რადგანაც მის თვალთა წინაშე ყველა კაცი შიშველი და გამოაშკარავებულია. ეს „გამოაშკარავებულობა“ ბერძნულად **τραχηλίζω**-თი არის გადმოცემული. მართალია, **τραχηλίζω** და **τετραχηλισμένος**-ი **τράχηλος**-ისაგანაა ნაწარმოები (ყელი, კისერი, „ქედი“), მაგრამ იდეოგრაფიულად მისგან სავსებით გამიჯნულია; ქართველ მთარგმნელს იგი შინაარსობრივად რომ ეთარგმნა, „გამოაშკარავებულის“ რომელიმე ძველქართულ შესატყვისის დაწერდა („გამო-

ჩინებულ“, „განცხადებულ“, „ყოვლადსახილველ“, „განმარცვულ“ ან სხვა), მას კი ნაწევრობითი, მორფოლოგიური თარგმანი აურჩევია, რითაც „ქედღადრეკილს“ (რაც უამისოდ მხოლოდ „თავდახრილს“, ან, შესაძლოა, „მონანულსაც“ ნიშნავდა) ახალი შინაარსი („ცხადად გამოჩენილი“) შესძინა.

5-6 „წინაშე შენსა“ – შესაძლოა აქ, ბერძნულის შესაბამისად, თავდაპირველად ყოფილიყო: „წინაშე თუალთა შენთა“ (**τῶς ὀφθαλμοῖς αὐτοῦ**), არა ზედმიწევნითობისაკენ თვითმიზნური სწრაფვის გამო, არამედ თუნდაც სტილისტური მოსაზრებით, რადგანაც „წინაშე შენსა“ უკვე ეწერა ამ ლოცვაში სწორედ ერთი სტრიქონით ზემოთ (XXII,4).

6 „რომელმან უწყნი ჩემნიცა“ (**ὁ γινώσκων τὰ κατ' ἐμὲ**) – იგულისხმება: „ჩემნიცა და ფარულნი საქმენი“. კვიქრობთ, აქ თავდაპირველად დამატებული უნდა ყოფილიყო „ესე“, ისევე, როგორც გიორგისეულ თარგმანში გვაქვს („რომელმან უწყნი ჩემნიცა ესე“).¹

6-7 „ნუ შეურაცხ-მყოფ მე და ნუ გარე-მიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ – **μὴ βδελύξῃ με, μὴδὲ τὸ πρὸσωπὸν σου ἀποστρέφῃς ἀπ' ἐμοῦ. βδελύσσομαι**-ს შესატყვისად არა „შეურაცხ-ყოფა“, არამედ „მოძაგება“ უფრო შეეფერებოდა კონტექსტს, ისე, როგორც გიორგი მთაწმიდელის თარგმანში (და, მის კვალდაკვალ, კვიპრიანეს რედაქციაშიც) გვაქვს: „ნუ მოძიძაგებ მე და ნუცა პირსა შენსა გარე-მიიქცევ ჩემგან“ (დიდნი კურთხევანი 2002: 100; კვიპრიანე სამთავნელი 1826: 27), თუმცა ზოგჯერ „შეურაცხ-ყოფადაც“ თარგმნიან ამ სიტყვას (ყაუხჩიშვილი 2007: VII, 246-247).

7-9 „არამედ აკოცენ ცოდვანი ჩემნი, რომელმან უგულვებელს-ჰყვნი ცოდვანი კაცთანი, და მომაქციე მეცა სინანულად“ – შდრ. **ἀλλὰ πᾶριδέ μου τὰ παραπτώματα ἐν τῇ ᾠρᾷ ταύτῃ, ὁ παρορών ἄνθρωπων ἁμαρτήματα εἰς μετὰ-**

1 ამ ფრაზას კვიპრიანე სამთავნელი უფრო ავრცობს: „რომელმან უწყნი ჩემნიცა ესე საქმენი“ (კვიპრიანე სამთავნელი 1826: 27).

νοιαυ. გვიანდელ თარგმანებში **εἰς μετάνοιαν**-ს შეესაბამება „სინანულითა“ (დიდნი კურთხევანი 2002: 100; კვიპრიანე სამთავნელი 1826: 27). სინური ხელნაწერის ვარიანტი, ვფიქრობთ, უფრო ზუსტია.

9-12 „და განმბანე მწიკულებანებაჲ კორცთა ჩემთაჲ და შეგინებაჲ სულისაჲ და ყოველი გუამი ჩემი განწმიდე ყოვლითურთ წმიდითა ძლიერებითა სიტყჳ[საჲ]თა და სულიერითა მარჯუენითა შენითა“ – შდრ.: **καὶ ἀπόπλυσόν μου τὸν ῥύπον τοῦ σώματος, καὶ τὸν σπῖλον τῆς ψυχῆς, καὶ ὄλον με ἄγιασον ὀλοτελή, τη/ δυνάμει σου τη/ ἀοράτω, καὶ πνευματικη/ δεξιᾶ!** როგორც ვხედავთ, „ძლიერებითა სიტყჳსაჲთა“ მცდარი ვარიანტი უნდა იყოს. გვიანდელი ვარიანტი უფრო ახლოსაა ჩვენს ხელთ არსებულ ბერძნულ ტექსტთან: „და განმბანე ჩემი მწიკულებანებაჲ კორცთაჲ და შეგინებაჲ სულისაჲ და ყოვლადვე განმწმიდე მე სრულიად ძალითა შენითა უხილავითა და სულიერითა მარჯუენითა“ (დიდნი კურთხევანი 2002: 100; კვიპრიანე სამთავნელი 1826: 27). „ძლიერებითა სიტყჳსაჲთა“-ს ნაცვლად იერუსალუმურ წეს-განგებაშიც ალბათ თავდაპირველად „ძალითა შენითა უხილავითა“ ეწერა. ვნახოთ, რა სიახლეს გვიჩვენებს ახალი სინური კოლექციის № 53 ხელნაწერი.

12-14 „ნუეკუე სხუათა აზნაურებასა უქადაგებ და მივსცემ კაცთმოყუარებითა შენითა, და მე მონა ცოდვის გამოუცდელ ვიპოო“ – ამ ფრაზასაც, ვფიქრობ, რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს, მაგრამ მათი აღდგენისათვის პირდაპირი წყარო არ გავაჩნია. რადგანაც გიორგი მთაწმიდელი ლიტურგიკული წიგნების რედაქტირებისას დიდი ნდობით ეკიდებოდა ძველ თარგმანებს, და მათი ცალკეული ნაწილები ხელუხლებლადაც გადმოჰქონდა თავის ახლად ნარედაქციევ წიგნებში, გამორიცხული არაა, წინამდებარე ლოცვის თავდაპირველი სახეც უკეთესად იყოს შემონახული გიორგისეული რედაქციის ტექსტში, ვიდრე ხმარებისაგან შერყვნილ ძველ ხელნაწერებში. შდრ.: „რაჲთა არა აზნაურებასა სხუათა უქადაგებლე და მე ამას მივსცემლე, სარწ-

მუნობით განმტკიცებული შენსა გამოუთქუმელსა კაცთმოყუარებასა, და თვთ, ვითარცა მონაჲ ცოლვისაჲ, გამოუცდელ ვიპოო“ (დიდნი კურთხევანი 2002: 100) – **ἴνα μὴ, ἐλευθερίαν ἄλλοις ἐπαγγελλόμενος, καὶ ταύτην παρέχων πίστει τη/ ἡρτημένη τῆς σῆς ἀφάρτου φιλανθρωπίας, αὐτὸς ὡς δοῦλος ἁμαρτίας ἁδῶν γένωμαι.**

14-15 „გამონახტე ქრისტე შენი ასოთა ამათთა, რომელ-ესე განახლდებიან, ჩემ მიერ“ – **καὶ μόρφωσόν σου τὸν χριστὸν ἐν τῷ μέλλοντι ἀναγενᾶσθαι, διὰ τῆς ἐμῆς ἐλευιότητος** (მღრ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი: „და გამონახე ქრისტე შენი მათ შორის, რომელთა ეგულების განახლებაჲ მეორედშობითა ჩემ მიერ, საწყალობელისა“).

15-21 „და აღაშენე ესენი საფუძველსა ზელა მოციქულთასა და წინაღსწარმეტყუელთასა, და ნუ დაჰქსნი, არამედ დაჰნერგენ ესენი ნერგად წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შენსა და ნუ აღმოჰფხური, რაჲთა წარემატებოდინ ღმრთისმსახურებით და აღიღებდენ სახელსა წმიდასა შენსა, რომელი დიდებულ არს ცათა შინა და ქუეყანასა ზელა“ – ეს ბოლო (ხაზგასმული) ფრაზა გვიანდელ რელაქციებში წმ. სამების პირთა დასახელებითაა შეცვლილი: **καὶ οἰκοδόμησον αὐτὸν ἐν τῷ θεμελίῳ τῶν Ἀποστόλων καὶ Προφητῶν σου, καὶ μὴ καθέλης, ἀλλὰ φύτευσον αὐτὸν φύτευμα ἀληθείας, ἐν τη ἁγίᾳ σου Καθολικῇ καὶ Ἀποστολικῇ Ἐκκλησίᾳ, καὶ μὴ ἐκτίλης ὄπως, προκόπτοντος αὐτοῦ ἐν εὐσεβείᾳ, δοξάζεται καὶ δι’ αὐτοῦ τὸ πανάγιον ὄνομά σου, τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ Ἀγίου Πνεύματος, νῦν καὶ ἀεὶ, καὶ εἰς τοὺς αἰῶνας τῶν αἰῶνων. Ἀμήν.** მღრ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი: „და აღაშენე იგინი საფუძველსა ზელა მოციქულთა და წინაღსწარმეტყუელთასა, და ნუ დაამკობ, არამედ დანერგენ იგინი ნერგად ჭეშმარიტებისად შინა წმიდასა შენსა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიასა, და ნუ აღმოფხური, რაჲთა წარმატებითა მათითა ღმრთისმსახურებასა შინა იდიდებოდინ მათ მიერცა ყოვლადწმიდაჲ სახელი შენი, მამისა და ძისა და წ...“

(დიდნი კურთხევანი 2002: 100-101).

XXIII. ლოცვაა წყალთა ზედა.

1 „ეს თენ ოდენ“ – მხოლოდ ეს, „ესოდენ“.

2 „მიცემა დიდებისა“ – ლოცვის ბოლოში დიდების-მეტყველებითი ფორმულის წარმოთქმა მამის, ძის ან წმიდა სამების მიმართ (იხ. VI,22).

10-11 „შენ შეჰმუსრენ თავნი ვეშაპთანი წყალთა შინა“ – შდრ.: „თავები, რომელ მათ შინა დაებულა, შეჰმუსრენ ვეშაპთანი“ (დიდნი კურთხევანი 2002: 102). **και τὰς κεφαλὰς τῶν ἐχέισε ἐμφαλευόντων συνέτριψας δρακόντων** (ევექოლოგიონი 1992: 139; ჰარენტი 1995: 112).

13 „მოეც ამათ მადლი გამოქსნისა და კურთხევად იორდანისადა“. შდრ. „მოეც ამას მადლი გამოქსნისა და კურთხევად იორდანისადა“ (დიდნი კურთხევანი 2002: 102). **και δὲς αὐτῶ τὴν χάριν τῆς ἀπολυτρώσεως, τὴν εὐλογίαὶν τοῦ Ἰορδάνου** (ევექოლოგიონი 1992: 139; ჰარენტი 1995: 112).

14-17 „ივლთოდეთ ამისგან ყოველნი მზკუვარნი დაბადებულთანი, რამეთუ სახელსა შენსა, უფალო, ვხადით საკურველსა და დიდებულსა, რომელი საშინელ არს მტერთა მიმართ“. **Φυγέτωσαν ἅπ' αὐτοῦ πάντες οἱ ἐπιβουλεύοντες τῷ πλάσματι σου, ὅτι τὸ ὄνομά σου, Κύριε, ἐπεκαλεσάμην τὸ θάυμαστον καὶ ἐβδόξον καὶ φοβερόν τοῖς ὑπεναντίοις** (ევექოლოგიონი 1992: 139; ჰარენტი 1995: 112).

19-29 „შეიმუსრნელ ნიშითა და სასწაულითა ჯუარისა შენისადათა ყოველნი ძალნი მკლომისანი; განგუეშორენინ ჩუენგან უხილავნი და უჩინონი ეშმაკნი; ნუ დაიმალვინ წყალსა ამას შინა ეშმაკი ბნელისადა, ნუცა შთაჰყვებინ ნათლისმღებელსა ამას სული ბოროტი, დამაბნელებელი გულისსიტყუათადა და აღმაშფოთებელი გონებისადა, არამედ შენ, უფალო ყოველთაო, გამოაჩინე წყალი ესე წყლად განსასუენებელად, წყლად სიწმიდისად და განწმედისად და განმათავისუფლებელად კორცთა და სულისა, განქსნად კრულებასა, მოსატევეებლად ცოდვათა, განმანათლებლად სულთა“. **Συντριβήτωσαν ὑπὸ τῆν**

σημείωσιν τοῦ τύπου τοῦ σταυροῦ σου πᾶσαι αἱ ἑναντίαι δυνάμεις. Ὑποχωρησάτωσαν ἡμῖν πάντα τὰ ἑνάερια καὶ ἀφανη εἶδωλα, καὶ μὴ ὑποκρυβήτω τῷ ὕδατι τοῦτῳ δαιμόνιον σκοτεινὸν, μηδὲ συγκαταβήτω τῷ βαπτίζομένῳ, δεόμεθὰ σου, Κύριε, πνεῦμα πονηρὸν, σκότωσιν λογισμῶν, καὶ ταραχὴν διανοίας ἐπάγον. Ἀλλὰ σὺ, Δέσποτα τῶν ἀπάντων, ἀνάδειξον τὸ ὕδωρ τοῦτο, ὕδωρ ἀπολυτρώσεως, ὕδωρ ἄγιασμοῦ, καθαρισμὸν σαρκὸς καὶ πνεύματος, ἄνεσιν δεσμῶν, ἄφεσιν παραπτωμάτων, φωτισμὸν ψυχῆς (ევქოლოგიონი 1992: 139-140; პარენტი 1995: 112-113). როგორც ვხედავთ, აქ რამდენიმე სხვაობაა ქართულ და ბერძნულ ტექსტებს შორის (ურთიერთგანსხვავებული ადგილები ხაზგასმულია):

(1) „განგუემორენინ ჩუენგან უხილავნი და უჩინონი ეშ-მაკანი“. „ეშმაკთა“ ნაცვლად ბერძნულშია „კერპნი“, ასევე გიორგი მთაწმიდელის თარგმანშიც: „განმეშორენით ჩუენგან ყოველნი ჰაერთა უჩინონი კერპნი“. შდრ. (დიდნი კურთხევანი 2002:102). ვფიქრობთ, სინური ნუსხების „ეშმაკნი“ გვიანდელი გადახვევაა არქეტიპისაგან, რომელშიც „კერპნი“ უნდა ყოფილიყო.

(2) „გამოაჩინე წყალი ესე წყლად განსასუენებელად“. აქ გვაქვს ალუზია ფსალმუნიდან: „წყალთა ზედა განსასუენებელთასა გამოშარდა მე“ (ფს. 22,2). ბერძნულში ამის ნაცვლად წერია „წყლად გამოკსნისად“, გიორგი მთაწმიდელის თარგმანში კი ორივე მათგანი – „გამოაჩინე წყალი ესე წყლად განსასუენებელად, წყლად გამოკსნისად“ (დიდნი კურთხევანი 2002: 103). „განსასუენებელი წყალი“, ვფიქრობთ, არქეტიპშიც უნდა ყოფილიყო.

(3) „წყლად სიწმიდისად და განწმედისად და განმათავისუფლებელად კორცთა და სულისა“ – აქ „კორცთა და სულის განთავისუფლება“, აშკარად, გვიანდელი, გადამწერისეული ცდომილებაა, რადგან არ ჩანს, რისგან უნდა განთავისუფლდეს ხორცი და სული. არქეტიპში კი ისევე უნდა ყოფილიყო, როგორც გვიანდელ ბერძნულ ტექსტში გვაქვს, და გიორგი

მთაწმიდელის თარგმანიც ეთანხმება: „წყლად სიწმიდისად, გან-
მწმედელად შეგინებასა კორცთასა და სულთასა“ (დიდ-
ნი კურთხევანი 2002: 103).

21 მკლომი — მოწინააღმდეგე. იხ. VIII, 4, 7; XXVI, 9.

29-42 „რამეთუ სთქუ, უფალო: განიბანენით, განიწმიდენით, განიშორეთ უკეთურებად სულთაგან თქუენთა, რომელმან მო-
გუანიჭე შობად წყლითა და სულითა. გამოჩნდი, უფალო, წყალ-
თა ამით ზედა და გარდაცვალებენ ესენი, რომელნი-ესე ნათელს-
იღებენ ამას შინა, რამათა განიძარცონ ძუელი იგი კაცი განხრწნა-
დი გულისთქუმათაებრ საცთურისათა, და შეიმოსონ ახალი ესე
განმაახლებელი მსგავსად ხატისა შენისა, რომელმან დაჰბადენ
ყოველნი, რამათა, რომელნი-ესე თანანერგ-ექმნეს სახესა სიკუდ-
ილისა ქრისტეს შენისასა ნათლისღებითა, ზიარ-იქმნენ ადგო-
მასაცა, და დაიმარხონ ნიჭი ესე სულისა წმიდისაჲ, და აღორძინდენ
თანანადებითა მადლისაჲთა და მოიღონ გზრგზნი ზეცისა ჩინები-
საჲ, თანა-შეერთენ პირმშოთა თანა, რომელნი აღწერილ არიან
[ცათა შინა]“. **Σὺ γὰρ εἶπας, Κύριε· Λούσασθε, καὶ κα-
θαροὶ γίνεσθε, ἀφέλετε τὰς πονηρίας ἀπὸ τῶν ψυχῶν ἡμῶν.
Σὺ ἐχαρίσω ἡμῖν τὴν ἄνωθεν ἀναγέννησιν, δι’ ὕδατος καὶ
Πνεύματος. Ἐπιφάνηθι, Κύριε, τούτω· καὶ δὸς μεταποιηθῆναι
τὸν ἐν αὐτῷ βαπτιζόμενον, εἰς τὸ ἀποθέσθαι μὲν τὸν παλαιὸν
ἄνθρωπον, τὸν φθειρόμενον κατὰ τὰς ἐπιθυμίας τῆς ἀπάτης,
ἐνδύσασθαι δὲ τὸν νέον, τὸν ἀνακαινοίμενον κατ’ εἰκόνα τοῦ
κτίσαντος αὐτόν· ἵνα, γενόμενος σύμφυτος τῷ ὁμοιώματι
τοῦ θανάτου σου διὰ τοῦ βαπτίσματος, κοινωνῶς καὶ τῆς
ἀναστάσεώς σου γένηται· καὶ φυλάξας τὴν δωρεὰν τοῦ
‘Αγίου σου Πνεύματος, καὶ ἀύξησας τὴν παρακαταθήκην
τῆς χάριτος, δέξηται τὸ βραβεῖον τῆς ἄνω κλήσεως, καὶ
συγκαταριθμηθῆῖ τοῖς πρωτοτόχοις, τοῖς ἀπογεγραμμένοις
ἐν οὐρανῷ** (ეკქოლოგიონი 1992: 140; პარენტი 1995: 113-114).
შლრ. (დიდნი კურთხევანი 2002: 103).

41-42 ცათა შინა — ეს სიტყვები სინურ ქართულ ხელ-
ნაწერებში გამოტოვებულია, ამკარაა, კვიანდელ გადამწერთა

მიზეზით; თავდაპირველად კი ეს სიტყვები უნდა ყოფილიყო ტექსტში, რადგან უამისოდ აზრობრივი ლაკუნა იქმნება.

XXIV. [შთასხმაჲ ნელსაცხებელისაჲ ემბაზსა შინა].

¹ ნები – ხელისგული; ქართულ თარგმანებში გვხვდება **σπιναμή**-ის შესატყვისად, რომელიც უფრო მტკაველს ნიშნავს. იხ. XXV,15.

⁶⁻⁷ მიმოგდება („ერი მიმოუგდებდეს“) – მარჯვენა და მარცხენა გუნდების მონაცვლეობითი გალობა.

⁷ მუკლის დადება („მუკლი დასდვას“) – ჩასართავი საგალობლის (მუკლის) თქმა.

XXV. [ცხებაჲ ზეთისაჲ და ნათლისცემაჲ].

¹⁵ ყია – განიმარტება „ყაყრანტოდ“ (guttur, faux) (აბულაძე 1973: 466), აგრეთვე „მკერდად“ (სარჯველაძე 2001: 236). ბერძნულიდან ნათარგმნ ძეგლებში **ἀρηρία**-ის შესატყვისად გვხვდება (ყაუხჩიშვილი 2007: VII, 203).

ნები – იხ. XXIV,1.

³⁶ კართი – „ფეხის ძარღვი“ (აბულაძე 1973: 192) „ფეხის კუნთი“ (სარჯველაძე 2001: 103), „კუთი, კუნთი, შეშაძარღვი“ (ჩუბინაშვილი 1961: 244). სულხან-საბას განმარტებით, საკართული – წვივსაკრავია, მაშასადამე კართი – წვივი ყოფილა. ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლებში კართი **σάλος**-ის შესატყვისად გვხვდება (ყაუხჩიშვილი 2007: VI, 339).

XXVI. [ლოცვაჲ შემდგომად ნათლისცემისა].

⁹ მკლომი – მოწინააღმდეგე. იხ. VIII, 4, 7; XXIII, 21.

XXVII. [ლოცვაჲ თავმოდრეკისაჲ].

¹ დიაკონმან თავნი მოუდრიკნეს: იგულისხმება – მონათლეთ.

⁴ ლოცვა მიმართულია მამა ღმერთისადმი, რაც ჩანს მისი მხოლოდშობილი ძის მოხსენიებით, ასამაღლებელი კი წმ. სამებას მიემართება (XXVII,7-8), რაც მოკლედ ჩაწერილი ასამაღლებლის უმართებულო გახსნის შედეგი უნდა იყოს.

XXVIII. [შესლვაჲ ეკლესიად და შემთხუევაჲ საკუროთხუევისა].

1 კერიონი – სანთელი, **κηρίον (λυχνιτάριον).**

2 საკურთხეველსა შეამთხუნენ – ახლად ნათელ-
ლებულნი ეკლესიაში შესვლისთანავე ემთხვეოდნენ საკურთხე-
ველს (ალბათ, დიაკონის მითითებით), როგორც ქრისტეს საი-
დუმლოს ზიარნი.

XXIX. [ლოცვაჲ მერვისა დლისაჲ].

2 მონათლენი – **βαπτίζόμενοι.**

7 საჩინოჲ – **φαινομένους** (იხ. ებრ. 11,3).

XXX. ლოცვაჲ ბ, მოდრეკილთაჲ.

1 მოდრეკილთაჲ – ლოცვა, რომელსაც მონათლენი
ისმენენ თავმოდრეკით. ჩვეულებრივ, ასეთ ლოცვას წინ უძღვის
დიაკონის მოწოდება: „თაენი ჩუენნი უფალსა მოუდრიკნეთ“ (ასეა,
მაგალითად, ნათლობის მერვე დღის ლოცვის გიორგი მთაწმიდე-
ლისეულ თარგმანში) (დიდნი კურთხევანი 2002: 107).

7 უგერშო – უზადო, უნაკლო; გერში – ჳრილობის (ან
ავადმყოფობის) ნაკვალევი, ნაჳრილობევი.

7-8 „დაიცვენ უბიწონი და უგერშონი, შეზღუდვითა კაცთ-
მოყუარებითა შენითა მწირობისა ამის ცხოვრებისა“ – ამ ფრა-
ზის ბუნდოვანება გადაწერის ცდომილებით უნდა იყოს გამოწვეუ-
ლი. თავდაპირველად კი, ალბათ, ასე იქნებოდა: „დაიცვენ უბი-
წონი და უგერშონი, შეზღუდვითა კაცთმოყუარებისა შენისაჲთა,
მწირობასა ამის ცხოვრებისასა“. მწირობად აქ მოიხსე-
ნიება ამქვეყნიური ცხოვრება, როგორც უცხოობაში ყოფნა (მდრ.
ებრ. 11,9). ნამდვილი სამყოფელი კი იქნება ცათა სასუფეველში,
„სამარადისოსა სოფელსა მას ცხოველთასა“ (XXX,12).

10-11 „კელითა მესამედ შობისაჲთა“ – „მესამე შობად“
იგულისხმება ზეცათა სასუფეველში შესვლა, „სამარადისოსა
სოფელსა მას ცხოველთასა“ (XXX,12). ამ კონტექსტში რა
აზრითაა „კელი“ ნახსენები – ძნელი სათქმელია. შესაძლოა,
თავდაპირველად აქ სხვა რამ ეწერა, „კელი“ კი, ჩანს, გვიანდე-
ლი გადამწერის შეცდომაა.

17 კუკული – **κουκουλίον.**

18 განტეკება („განუტევენეს“) – **Ἀπόλυσις.**

ლიტერატურა

- აბულაძე 1973** – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები): გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1973.
- ადიშის ოთხთავი 2003** – ადიშის ოთხთავი 897 წლისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა, დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა, ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ, ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“: თბილისი 2003.
- ალექსიძე 2005** – სინის მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში 1975 წელს აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, შეადგინეს ზაზა ალექსიძემ, მზექალა შანიძემ, ლილი ხევსურიანმა და მიხეილ ქავთარიამ, (ათენი 2005).
- გაბიაშვილი 1975** – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუაძემ: გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1975.
- გარიტი 1960 (1973)** – G. Garritte, Les fouilles géorgiennes de la collection Mingana à Selly Oak: Le Muséon LXXIII, 3-4, 1960. სტატიის ქართული თარგმანი იხ.: ჟ. გარიტი, მინგანას კოლექციის ქართული ფურცლები Selly Oak-ში (ბირმინგემი): მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1973, გვ. 170-182.
- გორი 1989** – J. Gorr, Euchologion, Sive Rituale Graecorum, Graz 1960.
- გრიგორიოს 1989** – Ἱερομονάχου Γρηγορίου, Τὸ ἄγιον βήμισμα, ἸΑθήνα 1989.
- დვორეცკი 1958** – И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I-II, Москва, 1958.
- დმიტრიევსკი 1901** – А. Дмитриевский, Описание литургических рукописей, хранящихся в библиотеках православнаго востока, Томъ II, Еύχολόγια, Кіевъ, 1901.
- ეპქოლოგიონი 1992** – Εύχολόγιον τὸ μέγα, τῆς κατὰ ἀνατολὰς ὀρθοδόξου καθολικῆς ἐκκλησίας, περιεχὸν τὰς τῶν ἑπτὰ μυστηρίων ἀκολουθίας, Σπουδὴ καὶ ἐπιστασία Σπυριδῶνος Ζέρβου Ἱερομονάχου: Ἐκδοτικὸς οἶκός «Ἀστὴρ», Ἀθῆναι 1992.
- ეფთვიძე მთაწმიდელი** – წმ. ეფთვიძე მთაწმიდელი, წინამძღუარი (სარწმუნოებისათვის), ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს თორნიკე ჭყონიამ და ნანა ჩიკვატიამ; გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნანა ჩიკვატიამ: გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2007.

თარხნიშვილი 1959-1960 – Le grand Lectionnaire de l'Église de Jérusalem (V^e - VIII^e siècle) édité par M. T a r c h n i s c h v i l i, I-II, Louvain, 1959-1960 (Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 188, 189, 204, 205).

იმნაიშვილი 1986 – ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, ა. შანიძის რედაქციით: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1986.

იმნაიშვილი 1979 – ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1979.

იოანე დამასკელი 2000 – წმ. იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა; ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ფერე მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა) გამოსაცემად მოამზადეს რომან მიმინოშვილმა და მაია რაფაევამ, თბილისი 2000.

იუნგმანი 1962 – J. A. J u n g m a n n, La liturgie des premiers siècles, jusqu'à l'époque de Grégoire le Grand, Paris 1962.

კეკელიძე 1012 – К. К е к е л и ძ ე, Иерусалимский канонарь VII в. (грузинская версия), Тифлис, 1912.

კვიპრიანე სამთავნელი 1826 – კურთხევანი, ძალითა ღმრთისაგან თარგმნილი ბერძულისაგან ქართულად კუპრიანეს მიერ სამთავნელისა, მოსკოვი, 1826.

კოჭლამაზაშვილი 1999 – ე. კოჭლამაზაშვილი, ლიტურგიკული შენიშვნები (2. „ბრძანეთ!“ 3. „ქრისტიანების“ წესი): რელიგია №7-8-9, 1999, 7-17.

კოჭლამაზაშვილი 2000 – ე. კოჭლამაზაშვილი, „მამაო ჩვენო“-ს ასამაღლებლისათვის, თბ., 2000.

კოჭლამაზაშვილი 2002 – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი, თბილისი, 2002.

კოჭლამაზაშვილი 2008 – ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, წინდობისა და ქორწილის საეკლესიო რიტუალი უძველეს ქართულ „კურთხევათა“ კრებულებში: ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი I (თბილისი 2008) 349-369.

მცხეთური ხელნაწერი 1981 – მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავესი, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა: „მეცნიერება“, თბ., 1981.

პარენტი 1995 – S. Parenti ed E. Velkovska (ed.), L'Eucologio Barberini Gr. 336, Roma 1995.

- რენუ 2004** – Ch. Renoux, *Le Lictionnaire de Jérusalem en Arménie* Le CAȘOC: Patrologia Orientalis 49: Brepols, Turnhout Belgique 2004.
- სარჯველაძე 2001** – ძველი ქართული ენის სიტყვის კონა: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001.
- სინური კოლექცია III** – ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: რ. გვარამია, ელ. მეტრეველიძე, ც. ჭანკიევმა, ლ. ხეცურიანმა, ლ. ჯღამაია: „მეცნიერება“ (თბილისი 1989) 33-47, 70-76, 58-67
- სულხან-საბა II** – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1975.
- ყაუხჩიშვილი 2007** – ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი (7 ტომად), სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქციით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, თბილისი, 2007.
- ჩუბინაშვილი 1961** – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, აღ. ღლონტის რედაქციით, თბილისი 1961.
- ცხორებად გიორგი მთაწმიდელისა 1967** – ცხორებად და მოქალაქობად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა: ძველი ქართული ავთოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილიძემ, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967, 106-207.
- ცხორებად მაქსიმესი 1918** – ცხორებად და მოქალაქობად აღმსარებელისა მართლისა სარწმუნოებისა, წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი: კიმენი, ქართული ჰავთოგრაფიული ძეგლები, ტ. I, პროფ. კორნელი კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, 1918.
- ჭელიძე 2002** – დედნი კურთხევანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სკოლიოები დაურთო ედიშერ ჭელიძემ, I, თბ., 2002.
- პორლოგოიონი 1995** – ‘*Ωρολόγιον τὸ μέγα: Ἐκδοσις τῆς Ἀποστολικῆς Διακονίας τῆς Ἐκκλησίας τῆς Ἑλλάδος, Ἀθήνα 1995.*